ბიბლიოთეკა

# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 3 მაისი 2007 №98 (3021) ფასი 50 თეთრი

## გუშინ მილანმა ათენში მოარტყა

### ჩემპიონთა ლიგის ერთხელ მომგები კახა კალაძე ჩემპიონთა ლიგის ახალ ფინალში




AFP




**ფოოორცა მიიილან! — ღრიალებდა „მილანის“ გასახდელი, როცა ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალის დასრულებისთანავე კახა კალაძეს შევეხმიანეთ.
და რა გვითხრა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა? სიმართლე ვთქვათ, კახა ისე იყო მატჩისგან და ემოციებისგან გათანგული, დიდხანს არც მოგვიცდენია — წარმატება მივულოცეთ და ორი-სამი შეკითხვაღა დავუსვით...**

— ალბათ, გესმით, აქ რაც ხდება. ყველანი უზომოდ გახარებულები ვართ. ვინ აღარ ჩამოგვაკითხა მოსალოცად გასახდელში...

**— მოგება ერთია და, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩში ასეთ გამანადგურებელ ანგარიშს ელოდით?**

— რა ვიცი, ძნელი სათქმელია... ერთს ვიტყვი: უბრალოდ, უნდა მოგვეგო, რადგან სხვა გზა არ გვქონდა. ჩვენი მიზანი მხოლოდ გამარჯვება იყო და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ეს შევძელით.

**— მაინც რას იტყვი თამაშზე?**

— ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ მეტოქეს ყველანაირად ვაჯობეთ. „მანჩესტერს“ ჩვენი ფეხბურთი ვეთამაშეთ და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავაგდეთ. მწვრთნელის დავალება შევასრულეთ და ახლა ფინალში ვართ!

**— ათენურ ფინალში კი მართლა რევანშის გაუგონარი სურვილი გექნებათ: იქ ხომ „ლივერპულს“ ხვდებით...**

— განსაკუთრებული თამაში იქნება და ყველანაირად ვეცდებით, შარშანწინდელი მარცხის გამო შური ვიძიოთ.

**გიორგი ვაშაკიძე**



# სერის სეირი სან სიროზე

„დაესწარით ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს" — ამ სლოგანით სრულდება საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის სარეკლამო რგოლი, რომელიც ყველა ქართულ არხზე ტრიალებს და რომელიც კომპანია „ყაზბეგის" მხარდაჭერით გაკეთდა. ქართული ფეხბურთის პიარს ისეთი ვარსკვლავები აკეთებენ, როგორებიც არიან კაკა, გატუზო, მალდინი, ანჩელოტი, ფინკე... ახლა ამ ვარსკვლავთა ამქარს არანაკლები ვარსკვლავი, მეტი თუ არა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერიც შეუერთდა

# პროფ-პროდუქტი

## საქართველოს თასის ფინალს ბრიტანეთი უჩვენებს



ეს ორიგინალური რგოლი, ცხადია, ძალიან წაადგება ჩვენს ჩემპიონატს, რაც, ერთხელაც ვიტყვით, პროფლიგის და კომპანია „ყაზბეგის" დამსახურებაა.

პროფლიგის პრეზიდენტს **დიმიტრი რამიშვილს** გუშინ სააამბოდ შევხვდით და მოახლოებული თასის ფინალზეც ვესაუბრეთ...

— ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ქომაგამდე მივიტანოთ ის თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათი ყოფნა ტრიბუნაზე. საამისოდ ჩვენ განვახორციელეთ პროექტი, რომელიც სარეკლამო ხასიათისაა და მასში მსოფლიო ვარსკვლავები ჩავრთეთ. რაც მთავარია, პიარ-აქციისთვის ის ვარსკვლავები შევარჩიეთ, რომლებიც ქართველ ფეხბურთელებთან ერთად თამაშობენ კლუბში. მათ იციან, რომ ჩვენები სწორედ საქართველოს ჩემპიონატში გაიზარდნენ. ჩვენში საფეხბურთო მეურნეობა ჯერჯერობით. აქ ფეხბურთს უყურებს, როგორც ქველმოქმედებას, არადა, ფეხბურთი ქველმოქმედება კი არა, ბიზნესია. მარტო ქველმოქმედებით ისევ მივიღებთ ერთ და ორწლიან კლუბებს, რომლებიც შუა ჩემპიონატში იშლებიან. ჩვენ გვინდა ქომაგს მივცეთ თავისი სტატუსი, ანუ იგი გავხადოთ არა მოსეირე, არამედ პროცესების მონაწილე. ყველგან ასეა, და ეს პრაქტიკა ჩვენთანაც უნდა დაინერგოს. უპირველეს ყოვლისა, უნდა შევეჩვიოთ, რომ სტადიონზე მისულმა ქომაგმა იყიდოს ბილეთი. აქ არ არის მთავარი ბილეთის ფასი, მთავარი კულტურაა, რომ იყიდო ბილეთი და მიხვიდე სტადიონზე. კარგად გვესმის მასის ეკონომიკური მდგომარეობა და ამის გათვალისწინებით ბილეთი შეიძლება ღირდეს ათი თეთრი, ორმოცდაათი თეთრი, ერთი ლარი, მთავარია, ბილეთის ქონის კულტურა ვისწავლოთ და ამასთან ერთად ქომაგს ვაგრძნობინოთ, რომ მისი ფავორიტი გუნდის შენებაში მას წვლილი შეაქვს და, შესაბამისად, კლუბში მიმდინარე საქმეებში შეძლებისდაგვარად ჩავახედოთ.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თქვით, ეროვნული ჩემპიონატის პიარ-აქციაში ის ვარსკვლავები ჩააბით, რომლებმაც იციან, რომ კალაძე ან კობიაშვილი ჩვენს ეროვნული ჩემპიონატში გაიზარდნენ. ამ აქციაში უკვე კლაუს ტოპმიოლერიც მონაწილეობს, მან კი ერთ-ერთ ინტერვიუში გვითხრა, საქართველოს ჩემპიონატში ჩემთვის საინტერესოს ვერაფერს ვხედავო...

— მისი სიტყვები უბრალო გაუგებრობაა. ალბათ ტოპმიოლერს იმის ახსნა უნდოდა, რომ ამ ეტაპზე ეროვნულ ჩემპიონატში სანაკრებო ფეხბურთელს ვერ ხედავს. როდესაც ტოპმიოლერს ამ აქციაში მონაწილეობა შევთავაზეთ, უყოყმანოდ და ალალად დაგვთანხმდა.

— ეროვნული ჩემპიონატის პოპულარიზაციისთვის ბევრი გააკეთეთ, მაგრამ... ითქვა, ჩემპიონატში გუნდების რაოდენობის თექვსმეტამდე გაზრდას აპირებთო...

— პირიქით, უმაღლეს ლიგაში კლუბების შემცირებაზე ვფიქრობ. საქართველოში ჯერჯერობით არ არსებობს საამისო ნიადაგი, რომ თექვსმეტგუნდა ჩემპიონატი გვქონდეს. როდესაც ქომაგს ვთხოვთ, რომ მატჩის ბილეთი იყიდოს, ელემენტარულად დასაჯდომი სკამი უნდა დახვდეს. საქართველოში ასეთი ოთხი-ხუთი სტადიონია... მეტსაც გეტყვით, ისეთ სტადიონზე, როგორიც მცხეთაშია თამაში აღარ ჩატარდება. მომავალ სეზონში კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ ასეთ სტადიონებზე უმაღლესი ლიგის მატჩები არ გაიმართოს.

— მოედნის პრობლემაა „ლოკომოტივზეც" სადაც შარშანდელი თასის ფინალი ჩატარდა...

— წელს თასს ფინალს უკვე განახლებულ „ეროვნულზე" ჩავატარებთ და ალბათ ეს ისეთი ფინალი იქნება, აქამდე რომ არ ყოფილა...

— რას გულისხმობთ?

— ბოლო დროს ქართული ფეხბურთისადმი ინტერესი ძალიან გაიზარდა. უცხოეთიდან უკვე გვეხმიანებიან. მატჩების ტრანსლირების უფლებებზე გველაპარაკებიან. ჩვენ გვსურს, რომ ქართული ფეხბურთით დაინტერესებულებს მაქსიმალურად ხარისხიანი ტელერეპორტაჟი მივაწოდოთ. მაგალითად, თასის ფინალისთვის დავიქირავეთ ბრიტანელი პროდიუსერი და ოპერატორები, რომლებიც პრემიერლიგის მატჩებს ემსახურებიან. გვსურს, რომ ფინალური მატჩის რეპორტაჟი მაქსიმალურად ხარისხიანი იყოს. ამასთან „ზესტაფონს" და „ამერს" ვულოცავ თასის ფინალში გასვლას და მათგან შარშანდელზე უკეთეს თამაშს ველით.

**ქობა ინასარიძე**



„ზესტაფონი" — „ამერი"
26 მაისი. ეროვნული. 20 საათი
ეს ძიდევ იქნება...

# რა აზრი აქვს?



**ეროვნული** ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე საჩხერის „ჩიხურა" დატოვა მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა. კლუბის ხელმძღვანელობის თხოვნის მიუხედავად, ქასრაშვილი კლუბში დაბრუნებას აღარ აპირებს.

„არ მინდა წასვლის მიზეზებზე საუბარი, ისედაც ყველაფერი ნათელია. ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტური დარჩა და იმედი მაქვს, ვახტანგ თურმანიძის ხელმძღვანელობით „ჩიხურა" უმაღლეს ლიგაში დარჩება" — გვითხრა ქასრაშვილმა.

ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ძნელია, გაამტყუნო მწვრთნელი, რომელსაც არანაირი სამუშაო პირობები არ ჰქონდა. საჩხერელებისთვის ბუცების შეძენაც კი პრობლემაა, არადა, უმაღლესში დარჩენა სურთ.

**ნუგზარი ლოლაძე**

### შოტლანდია

I დივიზიონი
პლეი ოფი. I მატჩები

ბრეჩინი 1:3 ერდრი
რეითი 0:0 სტირლინგი

II დივიზიონი
პლეი ოფი. I მატჩი

ისტ ფაიფი 4:1 სტრანრარი

### რუსეთი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები

დინამო (ბრ) 1:1 მოსკვა
ლოკომოტივი 3:0 სპარტაკი

### ხორვატია

I დივიზიონი. XXX ტური

ციბალია 1:0 პულა
კამენი 0:2 ოსიეკი
მედიმურიე 1:2 ვარტექსი
ზაგრები 1:3 რიეკა
სლავენი 0:3 დინამო
შიბენიკი 2:2 ჰაიდუკი

### იტალია

სერია A
გადადებული მატჩი

კატანია 3:3 ასკოლი

### ამხანაგური მატჩი

ახალგაზრდულები (U-21)

ნორვეგია 1:0 თურქეთი

### დანია

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩები

*კოპენჰაგენი* 4:0 ლიუნგბიუ (3:2)
ვიბორგი 0:2 *ოდენსე* (2:1)

### სლოვენია

I ლიგა. XXXI ტური

პრიმორიე 2:1 ბელა კრაინა
ფაძტორი 0:3 ნოვა გორიცა
ნაფტა 1:3 დრავა პტუი
კოპერი 2:0 პუბლიკუმი
მარიბორი 2:0 დომჟალე

### ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატი
თურქეთი. 2-13 მაისი

A ჯგუფი. I ტური

ინგლისი 2:0 ისლანდია
ესპანეთი 2:0 საფრანგეთი

B ჯგუფი. I ტური

ბელგია 2:2 ჰოლანდია
გერმანია 2:0 უკრაინა

### სერბეთი

სუპერლიგა
პლეი ოფი. VI ტური

ბეჟანიჯა 2:4 ცრვენა ზვეზდა
ჰაიდუკი 3:0 პარტიზანი
მლადოსტი 0:1 ვოივოდინა




სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31); "სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "ისი" (ალმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844



ბესიკ ფოლადიშვილის ფოტო

# კლაუს ტოპმიოლერი: სიმპათია ნეიტრალიტეტით

საქართველოს ნაკრებს ევროშესარჩევი მატჩები 2 და 6 ივნისს აქვს, კლაუს ტოპმიოლერი კი უკვე საქართველოშია — ნაკრების თავკაცი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცთან და მის გუნდთან ერთად დასავლეთ საქართველოს სტუმრობდა. ამასწინათ ფედერაციამ სოციალური გამოკითხვის შედეგები გაგვაცნო და როგორც მოსალოდნელი იყო, ტოპმიოლერის მუშაობა დადებითადაა შეფასებული. ჰერ კლაუსს გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში" ვესაუბრეთ...

— დასავლეთ საქართველოდან როგორი შთაბეჭდილებით დაბრუნდით?

— ბათუმში, ქუთაისში და ზუგდიდში ვიყავი. ვნახე და დავრწმუნდი, როგორ უყვართ საქართველოს რეგიონებში ფეხბურთი. შევხვდით კლუბების ხელმძღვანელებს, გავეცანით მათ პროგრამას, კმაყოფილი ვარ იქაური ბავშვებისა და ჭაბუკების მონდომებით.

— 13 მაისს ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებია და არ შეიძლება, ამაზე არ გკითხოთ...

— თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ მე ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ვარ და წმინდა საფეხბურთო საკითხები მევალება. არჩევნებთან დაკავშირებით ნეიტრალური პოზიცია მაქვს და ჩემი შეხედულება გამაჩნია... თუმცა, ცხადია, ფედერაციის დღევანდელ ხელმძღვანელობის მიმართ სიმპათიურად ვარ განწყობილი.

— როგორც ვიცით, 22 აგვისტოს ამხანაგური მატჩისთვის ფედერაცია და თქვენ სპარინგ-პარტნიორს არჩევთ. ხომ არ გადაწყდა, ვის ვეთამაშებით?

— ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი, თუმც ალბათ ლუქსემბურგს შევხვდებით.

— საქართველოში ჩამოსვლამდე ნაკრების წევრთა თამაშებს არ დასწრებიხართ?

— სამწუხაროდ, ნაკრების ბევრ წამყვან ფეხბურთელს თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის პრობლემა აქვს. მალხაზ ასათიანი ტრავმირებულია, კახა კალაძე უთამაშებელია, ლევან კობიაშვილი კი შეცვლებზე შედის-ხოლმე.

— 2 და 6 ივნისის შესარჩევი მატჩებისთვის ნაკრები როდის შეიკრიბება?

— მაისის ბოლო სამშაბათს. ჯერ კიდევ მიდის მოლაპარაკებები და ასი პროცენტით ვერ გეტყვით, მაგრამ ალბათ ფრანკფურტში შევიკრიბებით.

— ეს შესარჩევი ციკლი მაინც წაგებულია და დარჩენილ მატჩებში მხოლოდ საგაისო შესარჩევისთვის მომზადებაზე გააკეთებთ აქცენტს თუ შედეგიც ასევე მნიშვნელოვანია?

— მინდა, რომ ძლიერი ნაკრები მყავდეს, სიძლიერე კი შედეგის გარეშე არ არსებობს. მაქსიმალურად ვეცდებით, რათა ამ შესარჩევში წინ წავიწიოთ. ეგაა, თითქმის ყველა მატჩში სამი-ოთხი წამყვანი ფეხბურთელი გვაკლდება, საქართველოსთანა პატარა ქვეყნისთვის კი ეს საკმაოდ სერიოზული დანაკლისია.

— მალხაზ ასათიანი დაახლოებით ორ კვირაში დაიწყებს თამაშსო. თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ, შეძლებს იგი ლიტვასთან და საფრანგეთთან თამაშს?

— ალბათ, შეძლებს. ღმერთმა ქნას, მანამდე ასათიანმაც და კალაძემაც სათამაშო პრაქტიკა მიიღონ. კახას ალბათ ანჩელოტისთან აქვს პრობლემები. ფაქტია, როდესაც ნაკრებში ექვსი უთამაშებელი ფეხბურთელი გიგროვდება, ძალიან ძნელია.

— ივნისამდე საქართველოს ჩემპიონატის მატჩებია და რამდენიმეს ალბათ დაესწრებით?

— 5 მაისს რუსთავში „დინამოს" მონაწილეობით ვნახავ მატჩს. საჩემპიონო თამაშია და დაძაბულ ბრძოლას ველი.

— დავით სირაძე აუე-დან ისევ მეორე ბუნდესლიგის გუნდში, „პადერბორნში" გადავიდა, არადა, თავად ამბობდა, უკეთესი კლუბებიდან მქონდა შემოთავაზებებიო. ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი პერსპექტიული ფორვარდი, რომელიც შოთა არველაძის შემცვლელად მოიაზრება, უფრო სუსტ გუნდში გადავიდა, ვიდრე აქამდე იყო — ამაზე რას იტყვით?

— „პადერბორნი" აუე-ს თუ ოდნავ ჩამორჩება ცხრილში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასზე მნიშვნელოვნად სუსტია. სირაძის საკითხში ბევრს ნიშნავს მწვრთნელის ნდობა: „პადერბორნის" მწვრთნელმა ჰოლგერ ფახმა დამირეკა და სირაძეზე ვისაუბრეთ. ფახმა მითხრა, დავითის თამაშები ეროვნულ ნაკრებში მინახავს და შენაძენით კმაყოფილი ვარო.

— შოთა არველაძეს თუ ესაუბრეთ ბოლო დღეებში და რას აპირებს, ამ შესარჩევ ციკლს ბოლომდე ჩაამთავრებს?

— ბოლო დღეებში შოთასთან ამ საკითხზე არ მისაუბრია. მან გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღოს — არველაძემ შოტლანდიასთან მატჩი ძლივს ჩაამთავრა, მუხლი აწუხებდა და ახლაც აწუხებს. შოტლანდიასთან იგი ტკივილგამაყუჩებელ აბებს იღებდა და ისე თამაშობდა.

**ილია ნანობაშვილი**
**ნინო სილაგაძე**

# ბიშოვეცს ასათიანი მოენატრა





**რუსეთის** პრემიერლიგის ეს სეზონი „ლოკომოტივმა" ჩვეული რიხით ვერ დაიწყო. რკინიგზელებს შვიდი ტურის შემდეგ მხოლოდ ცხრა ქულა აქვთ და ცხრილის შუაგულში ტრიალებენ. „ლოკომოტივის" თავკაცი ანატოლი ბიშოვეცი ქართველი ლეგიონერის, მალხაზ ასათიანის ტრავმას მისტირის...

„ასათიანის მიმართ დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი. კარგა ხანია, მასზე განსაკუთრებული წარმოდგენა შემექმნა. ის ჩვენ მოედანზეც გვჭირდება და მის გარეთაც, მოხარული ვიქნები, თუ ორ კვირაში დაგვიბრუნდება. ჩვენ ახლა გადატვირთული კალენდარი გვაქვს და მისი დონის მოთამაშე აუცილებლად გვჭირდება" — თქვა „სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტთან საუბრისას ბიშოვეცმა.

გუშინ „ლოკომოტივმა" რუსეთის თასის ნახევარფინალში მოსკოვის „სპარტაკი" 3:0 დაამარცხა და ასათიანის იმედი, ჩემპიონობასთან ერთად თასიც მოვიპოვოთ, რეალურია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


დაესწარი უმაღლესი ლიგის თამაშებს

გამოიცანი თერთმეტი მატჩი

მიიღე მონაწილეობა წამახალისებელ ლატარიაში

ჯეკპოტი გახდა 3000 ლარი!!!

ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!

ბილეთის ფასი 2 ლარი







საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საინფორმაციო მხარდაჭერა

ოლიმპი

სარბიელი


05.05.2007 - 23-ე ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| ჩიხურა-ბორჯომი | კახეთი-სიონი |
| ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ) | მაღაროელი-გაგრა |
| ოლიმპი-დინამო (თბ) | ზენიტი-კრილია სოვეტოვი |
| მერანი-დილა | მილანი-ფიორენტინა |
| ლოკომოტივი-ამერი | სპარტაკი (მოს)-რუბინი |
| ზესტაფონი-ტორპედო | |


**იყიდება**

6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე.
ფასი შეთანხმებით. ტელ: 893 42-74-94





# მგელი ყოველთვის მგელია
## დევაძე კარში მუდამ კაკოა

ძალიან იშვიათად, რომ სეზონის საუკეთესო მოთამაშედ მეკარე დაასახელონ. ხოლო თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ის მეკარე მნიშვნელოვნად უნდა სჯობდეს სხვებს. აკაკი დევაძე სწორედ ასეთი მეკარეა, იმ დროიდან კი, როცა ის „სარბიელის" გამოკითხვით საქართველოს საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა, ათწლეულზე მეტი ხანი გავიდა.

მას მერე ბევრი რამ შეიცვალა ქართულ ფეხბურთშიც და, ცხადია, თავად აკაკი დევაძის ცხოვრებაშიც. იყო ფეხბურთიდან წასვლაც და დაბრუნებაც. საკლუბო თუ სანაკრებო მატჩებიც და, სამწუხაროდ, მძიმე ტრავმებიც.

ახლა კი აკაკი დევაძე საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად ემზადება. მისმა გუნდმა, ზუგდიდის „მგლებმა" სეზონის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე მოიპოვა უმაღლესის საგზური.

ბუნებრივია, საუმაღლესოდ „მგლებში" ბლომად ცვლილებები მოხდება და შემადგენლობაც გადახალისდება, მაგრამ ზუგდიდელებს მეკარის პრობლემა რომ არ დაუდგებათ, ფაქტია. აკაკი დევაძე ჯანზე იყოს და...

— ახალციხეში ცუდად დავეცი, მოედანი მაგარი იყო, ძვალი მაქვს ატკეჩილი და ვკოჭლობ. ჯერ ვმკურნალობ და ვერ გეტყვით, როდის დავუბრუნდები მოედანს.

**— უკვე სამთეულნახევარს გადააბიჯე, როგორ ფორმაში ხარ და კიდევ რამდენ ხანს აპირებ თამაშს?**

— რომ გითხრათ, დაფრინავმეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ წლეულს კარგად ვითამაშე. თუ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო, ორი-სამი წელი კიდევ გავქაჩავ.

**— „მგლებმა" ხუთი ტურით ადრე მოიპოვა უმაღლესის საგზური. რა მიზნები გაქვთ?**

— პირველ ლიგაში კარგად კი ვითამაშეთ, მაგრამ უმაღლესში ამ გუნდით წარმატებაზე ფიქრიც არ შეიძლება. ამას ხელმძღვანელობაც კარგად ხედავს და ხუთი-ექვსი ისეთი ფეხბურთელის დამატებას აპირებს, რომელთაც უმაღლესში თამაშის გამოცდილება აქვთ. თანაც ამჟამინდელ გუნდში არიან ისეთი ფეხბურთელები, რომელთაც მათ გვერდში თამაში შეუძლიათ.

**— პირველ ლიგაში კიდევ რომელ გუნდს გამოარჩევდი?**

— რამდენიმე საინტერესო გუნდია, განსაკუთრებით კი „მესხეთი" მომეწონა.

**— შენს კარიერაში საუკეთესო მატჩად რომელს მიიჩნევ?**

— დაძაბულობით, გერმანიასთან ორივე შეხვედრას გამოვარჩევ, თბილისშიც და ნიურნბერგშიც. ასეთი ძლიერი გუნდის წინააღმდეგ არასდროს მითამაშია. საუკეთესოდ ალბანეთთან სტუმრად 1:0 მოგებულ მატჩს ვთვლი. საკლუბო დონეზე კი „როსტსელმაშში" ნათამაშებ შეხვედრას: ვოლგოგრადის „როტორთან" 1:3 წავაგეთ და უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა. „სპორტ-ექსპრესის" მაქსიმალური შეფასება 8,0 ბალი იყო, მე კი იმ თამაშში სამი ბურთის გაშვების მიუხედავად 7,5 დამიწერეს.

**— ყველაზე გულსატკენ მატჩად რომელს გაიხსენებ?**

— ალბათ, მაინც ბულგარეთთან 0:2 წაგებულ შეხვედრას. მაშინ მართლაც კარგი ნაკრები გვყავდა. ის თამაში რომ არ წაგვეგო, შეიძლება, დღემდე მიუღწეველი წარმატებისთვისაც გამოგვეკრა ხელი.

**— საქართველოში ყველაზე რისკიან მეკარედ გთვლიან. ეს სათამაშო სტილიდან გამომდინარე, თუ...**

— უფრო ჩემი ბუნებიდან. თამაშის დროს არ ვფიქრობ, ტრავმას მივიღებ თუ არა, მთავარია, გუნდმა მოიგოს და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ როგორ დამეჯახება, ან სად გავყოფ თავს.

**— იმ გუნდებიდან, სადაც გითამაშია, საუკეთესოდ რომელს მიიჩნევ?**

— 1993 წელს „შევარდენი" მეორე ადგილზე გავიდა. ახლაც მიკვირს, მაშინ ჩემპიონობა როგორ ვერ მოვიპოვეთ. შესანიშნავი გუნდი იყო — გიორგი ნემსაძე, დავით ყიზილაშვილი, კახი გოგიჩაიშვილი, გია ჯიშკარიანი, მამუკა მაჭავარიანი... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

**— ნაკრების ყოფილი მეკარე რას იტყვის ამჟამინდელ მეკარეებზე...**

— ქართული ფეხბურთის ისტორიაში ნაკრებში არასდროს არ მდგარა ისეთი დარაჯი, როგორიც გიორგი ლომაიაა. შეიძლება, ჟურნალისტები და გულშემატკივარი სხვანაირად აფასებდეთ მეკარეთა თამაშს, მაგრამ მეკარე ვარ და ჩემი გადასახედიდან ასე ვფიქრობ.

**— საქართველოს პირველობაზე თუ შეამჩნიე, რომელიმე პერსპექტიული მეკარე?**

— ძალიან მომწონს გორელი რევაზ თევდორაძე, ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენთან თამაშისას „ნორჩი დინამოელის" გიორგი მაკარიძემ.

**— ქართველ მეკარეთა ყველაზე დიდ ნაკლად გამოსვლაზე თამაშს მიიჩნევენ...**

— ეს პრობლემა მუდამ იყო და ახლაც არის. ვერ გეტყვით, რისი ბრალია, მაგრამ ჩემ დროს გამოსვლაზე ნაკლებად ვვარჯიშობდით, უფრო ნახტომს და კარის ჩარჩოში სწორად დგომას გვასწავლიდნენ. სამწუხარო იქნება, თუ ეს სენი კიდევ არის მწვრთნელებში. მეკარე ყველა შემთხვევისთვის მომზადებული და საიმედო უნდა იყოს.

**— რა მისცა აკაკი დევაძეს ფეხბურთმა და რა დაუტოვა ყველაზე ტკბილ მოგონებად?**

— ფეხბურთმა ყველაფერი მომცა, რადგან ის ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ბევრი ტკბილი მოგონება მაქვს, თუმც იმ დღეს ვერასოდეს დავივიწყებ, როდესაც ამდოლში თამაშის დროს დიქტორმა ებრაულ ენაზე რაღაცის გამოცხადება დაიწყო. მივხვდი, რომ მეორე შვილის დაბადებას მილოცავდნენ. სიხარულისგან კარში ფრენა მინდოდა, მაგრამ მეტოქემ ამის საშუალება არ მომცა.



**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# განუგრავა და პანათინაიკოსი: რეალობასთან ძალიან ახლოს

**დიდი** შანსია, 19 წლის გიორგი განუგრავამ მომავალი სეზონი ბერძნულ „პანათინაიკოსში" დაიწყოს. ნიჭიერი ნახევარმცველი რომ მარტის დადამდეგს ჩავიდა ბერძნულ გრანდში, რამდენიმე ამხანაგური თამაში ითამაშა და „პანას" მწვრთნელ ვიქტორ მუნიოსს თავი მოაწონა, ადრეც ვწერდით.

მერე გიორგი კვიპროსის ჩემპიონატის ლიდერ „აპოელშიც" იყო რამდენიმე დღით და მალევე ათენში დაბრუნდა. განუგრავა ამჟამად თავისუფალი აგენტია: თებერვლის ბოლოს „ზესტაფონთან" კონტრაქტი დაუმთავრდა და აღარ გააგრძელა. გიორგის კარიერაში ორიწლინახევრის წინაც იყო მსგავსი პერიოდი — „ამერიდან" წასვლის შემდეგ ექვსი თვე უთამაშებლად დარჩა, ცოტა ხანს „დინამო 2"-ში იბურთავა და მერე „ზესტაფონში" ჩაირიცხა.

გიორგი ამჟამად თბილისშია და გუშინ რომ დავუკავშირდით, გვითხრა, მალე „პანათინაიკოსს" ჩავაკითხავო.

„ათენში დაახლოებით თვენახევარი ვიყავი ძირითად გუნდთან ერთად, ვვარჯიშობდი და ამხანაგურებს ვთამაშობდი. კონტრაქტის თაობაზე კლუბის ხელმძღვანელობასთან იყო ლაპარაკი. გასინჯვა უკვე მორჩა, ახლა ზარს ველოდები „პანათინაიკოსიდან", ჩავალ და... ვნახოთ, წინასწარ ლაპარაკი არ მინდა. ისე, სხვა ბერძნული გუნდებიც მთავაზობდნენ კონტრაქტს."

ამჟამად განუგრავა ინდივიდუალურად ვარჯიშობს და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების საელიტრაუნდო მატჩებისთვის ემზადება, რომლებიც შოტლანდიაში გაიმართება.

**ილია ნანობაშვილი**



## უეფას თასი 2006–2007
## 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები



მიროსლავ კლოზე და ვერდერელები კბილებს ილესავენ

AFP

# შააფი მარტივია: შევუტიოთ!

დღეს

**ვერდერი (გერმანია) — ესპანიოლი (ესპანეთი) (0:3)**
**სევილია (ესპანეთი) — ოსასუნა (ესპანეთი) (0:1)**

**ბრემენის** „ვერდერის" მწვრთნელ თომას შააფისთვის ყველაფერი მარტივადაა — მისმა გუნდმა უნდა შეუტიოს სამბურთიანი დეფიციტის გასაბათილებლად.

„ჩვენ მხოლოდ ერთი გზა გვაქვს და მას შეტევა ჰქვია — თქვა შააფმა „ესპანიოლთან" შეხვედრის წინ — თუ საქმე თავიდანვე საჩვენოდ აეწყობა, „ესპანიოლის" გავლა შეუძლებელი არ იქნება".

შეტევით კი შეუტევს, ეს „ვერდერს" არ ესწავლება, მაგრამ დაცვაში? ბარსელონაში ხომ გაუშვა სამი გოლი და სამიც ბუნდესლიგაში „არმინიასგან" მიიღო. „არმინიასთან" კარში ანდრეას რაინკე იდგა და დღესაც ის იქნება, რადგან ტიმ ვიზე „ესპანიოლთან" მატჩში გაძევეს.

ბრემენელებს კვირას ბუნდესლიგაში რომ მოეგოთ, პირველ ადგილზე ავიდოდნენ და კარგი საჩემპიონო შანსი გაუჩნდებოდათ, მაგრამ, მარცხის მიუხედავად, იმედიანად არიან.

„ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია ჩემპიონატის და უეფას თასის მოგება — განაცხადა ტორსტენ ფრინგსმა — საამისოდ კი მხოლოდ გამარჯვებაა საჭირო".

ცნობილია, რომ „ვერდერს" ასეთი მატჩები არაერთხელ შემოუბრუნებია. 1987-88 წლების უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში მოსკოვში „სპარტაკთან" 1:4 წააგო, შინ კი 6:2 იმარჯვა. ერთი წლის შემდეგ ბერლინის „დინამოსთან" სტუმრად 0:3 დამარცხდა, მაგრამ შინ 5:0 გაანადგურა. 1999-2000 წლების სეზონში უეფას თასის მესამე ეტაპზე კი „ლიონთან" 0:3 დათმო, ხოლო ბრემენში 4:0 მოიგო.

„ესპანიოლმა" კი უეფას თასზე ყველაზე მეტი, 30 გოლი გაიტანა და სტუმრად თამაში არ წაუგია — ექვს გასვლით მატჩში მხოლოდ სამი გაუშვა, მაგრამ ამჯერად ალბათ გაუჭირდება, რადგან ამ ტურნირის ბომბარდირი ვალტერ პანდიანი (11 გოლი) დისკვალიფიკაციის გამო დააკლდება, ისევე, როგორც მოიზეს ურტადო.

უეფას თასის მფლობელი „სევილია" ზედიზედ მეორედ ეცდება ფინალში გასვლას. ანდალუზიელებს, სულ მცირე, 2:0 სჭირდებათ „ოსასუნას" გასავლელად. კლუბის სპორტული დირექტორი რამო როდრიგესი ფანებს მხარდაჭერისკენ მოუწოდებს: „ისინი გვერდით უნდა დაგვიდგნენ. ასეთი დონის მატჩებში 2:0-ის მოგება იოლი არაა, მაგრამ ჩვენი გუნდი თავდაჯერებულია და საჭირო ანგარიშით გამარჯვება შეუძლია".

ამ ტურნირის ნახევარფინალში პირველად გასულ „ოსასუნას" რობერტო სოლდადო ჰყავს დისკვალიფიცირებული. სწორედ მან გაიტანა ერთადერთი გოლი პირველ მატჩში. ოსასუნელთა მეკარე რიკარდოს კი „სანჩეს პისხუანის" ღრიალი არ აშინებს: „ფანების ღრიანცელში თამაში უფრო საინტერესოა. ჩვენმა დაცვამ ისევე კარგად უნდა ითამაშოს, როგორც პამპლონაში".

**გაჟა ხუციშვილი**

## ბლაშეკის ბუნდესლიგაში

**პრაღის** „სპარტა" და „ნიურნბერგი" მორიგდნენ — ჩეხური კლუბის მეკარე იარომირ ბლაჟეკი ბუნდესლიგურ გუნდში გადავა. ამის შესახებ სპარტელებმა ოფიციალურად განაცხადეს.

ჩეხეთის ეროვნული ნაკრების მეორე მეკარე ბლაჟეკმა სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა და ორწლიან ხელშეკრულებასაც ხელი მოაწერა.

„ძალიან მინდოდა უცხოურ კლუბში თამაში და მიხარია, რომ სურვილი ამიხდა" — თქვა 34 წლის გოლკიპერმა.

ამ სეზონის ბოლოს გააცხადებენ, რამდენი გადაიხადა „ნიურნბერგმა" ჩეხში.

## ოთხი გვერდითი მსაჯი

**ყოველკვირეულ** შპიგელ „ლილუსტრთან" ინტერვიუში ზეპ ბლატერმა თქვა, რომ უკვე ამ ზაფხულს, შესაძლოა, მატჩებს ოთხი გვერდითი მსაჯი მოემსახუროს...

„ორს ექნება დროშა, როგორც ახლა, ორს კი სასტვენი და ისინი მთავარი არბიტრებივით ჩაერევიან თამაშში. ამ ზაფხულს ვცდით და თუ სასურველ შედეგს მივიღებთ, დავაკანონებთ".

## ცაიტუნგმა კლოზე გაყიდა

**„დოიჩე ცაიტუნგის"** ცნობით, მიუნხენის „ბაიერნი" უკვე მოურიგდა ბრემენის „ვერდერს" მიროსლავ კლოზეს ტრანსფერზე. გაზეთი ამტკიცებს, რომ „მუსიკოსები" 15 მილიონ ევროზე დაყაბულდნენ, რადგან ფორვარდს მომავალ ზაფხულს კონტრაქტი ეწურება და მის სანაცვლოდ კლუბი გახვრეტილ ევროსაც ვერ მიიღებდა. შეგახსენებთ, რომ „ბაიერნის" და კლოზეს მოლაპარაკების ამბავს გერმანიის საფეხბურთო კავშირი იძიებს, რადგან მიუნხენელებმა სატრანსფერო წესი დაარღვიეს და მოთამაშესთან ვაჭრობა „ვერდერის" დაუკითხავად გაბეს.

**გაჟა ხუციშვილი**

# მამა ანრის შვილი ანრი
## ის არც მოკვდება და არც მოკვდება

**1977 წლის** 17 აგვისტოს ანტუან ანრიმ დანამდვილებით იცოდა, რომ იმ დღეს — ჯერ რამდენიმე წამის, შემდეგ წუთის და შემდეგ რამდენიმე საათის წინ — მსოფლიოს დიდი საფეხბურთო ვარსკვლავი მოევლინა. ეს გახლდათ მისი ვაჟი ტიერი.

ცოტათი წამოზრდილ ტიერის მამა უკვე სტადიონზე დაატარებდა და იქ შეკრებილ გულშემატკივრებს აცნობდა, როგორც მომავალ დიდ ფეხბურთელს.

„მამა ჩემით ამაყობს. ახლა მას ნამდვილად შეუძლია, მშვიდად იყოს, რადგან მე ჩემს დღევანდელ სიმაღლეებს მივაღწიე — ამბობს 29 წლის არსენალელი — თუმცა, როდესაც პატარა ვიყავი, ის მეტისმეტად მკაცრად მეპყრობოდა. როდესაც ახალშობილი ხელში აიყვანა, მან ის კი არ თქვა, რა უშნო, ლამაზი ან ჩვეულებრივი ყოფილაო, მან თქვა, რომ მე დიდი ფეხბურთელი გავხდებოდი. მამას ხშირად დავყავდი „პარი სენ ჟერმენის" თამაშებზე. ერთხელ, რვა წლის რომ ვიყავი, მახსოვს, ის სტადიონზე ვიღაცას ეკამათებოდა. შუა კამათში მამამ ჩემსკენ მიუთითა და უთხრა, შეხედე ამ ბიჭს, მას მალე ტელევიზორში ნახავო, რაზეც კიდევ ერთმა იქვე მდგომმა დასცინა.

საერთოდ, მამაჩემი ისეთი კაცია, კმაყოფილს იშვიათად ნახავთ, ყოველთვის მეტს მოითხოვს. ამაში მეც მას ვგავარ, მიღწეულით არასოდეს ვკმაყოფილდები. ყოველი მატჩის შემდეგ მე იმ გოლებზე ვფიქრობ, რომლებიც უნდა გამეტანა, მაგრამ ვერ გავიტანე. გატანილი აღარ მახსენდება. ამიტომაც ვარ ხოლმე ხშირად მოედანზე მოღუშული. დიდებული გოლიც რომ შევაგდო, გული მაინც ორად მაქვს გაყოფილი, რადგან ამ გოლამდე კიდევ ერთის შეგდება შემეძლო და ეს ვერ მოვახერხე. ამაში პირწავარდნილი მამაჩემი გახლავართ".

...ამავე ინტერვიუში ანრიმ თქვა, რომ „ჩელსის" თამაშებს იშვიათად ადევნებს თვალს.

ცნობისთვის: ჟოზე მაურინიუს გუნდი „ემირატ სტედიუმზე" კვირას თამაშობს და აუცილებელი გამარჯვება სჭირდება, რათა ინგლისის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას აზრი შერჩეს.

„ამ გუნდის თამაშს იმიტომ არ ვუყურებ, რომ ვიცი, ის მაინც მოიგებს. შემიძლია, ტელევიზორი „ჩელსის" შეხვედრაზე 89-ე წუთზე გადავრთო და ის გოლს გაიტანს. და კიდევ, გთხოვთ, სწორედ გამიგოთ, მე მირჩევნია, ლამაზად მოვიგო, ვიდრე ლამაზად წავაგო. ვინმემ ახლა რომ შემომთავაზოს, ყველა თამაშს 1:0-ს მოიგებ და ჩემპიონი ისე გახდებიო, უყოყმანოდ დავთანხმდები".

ცნობილია, რომ როდესაც რომან აბრამოვიჩმა „ჩელსი" იყიდა, ერთ-ერთი პირველი, რაც მოიწადინა, ტიერი ანრის ყიდვა გახლდათ და მასში 50 მილიონ გირვანქასაც არ იშურებდა.

„დიახ, ვიცი, რომ ასე იყო. ეს რომ გავიგე, დიდებული გრძნობა დამეუფლა, მაგრამ მე „არსენალის" ფეხბურთელი ვარ და ყოველთვის, როდესაც „ჩელსის" კარში გოლი გამაქვს, მაისურზე „არსენალის" ემბლემას ვკოცნი, რათა ყველას დავანახო, რომელ გუნდს ეკუთვნის ჩემი გული".

შემდეგ ჩამჭრელი კითხვა:

— რა გირჩევნიათ, გოლი ვეღარასოდეს გაიტანოთ თუ ქალთან აღარასოდეს დაწვეთ?

— ღმერთო ჩემი, ეს რა მკითხეთ. ეს იგივეა, სიკვდილსა და სიკვდილს შორის რომ აარჩევინო კაცს.

და ბოლოს მსაჯობაზე...

„მსაჯობა ძალიან ძნელი საქმეა, ეს ვიცი. ცხოვრებაში ყველაზე მეტად თანამსაჯობას არ ვისურვებდი. თანამედროვე ფეხბურთში მოვლენები ისე სწრაფად ვითარდება, რომ შეუძლებელია, ყველა ეპიზოდი სწორად შეაფასო. ვფიქრობ, დღეს უკვე ოთხი თანამსაჯია საჭირო. ყველაფრის სწორად დასანახად გადაჯვარედინებული მზერა უნდა გქონდეს. ძალიან ხშირად, როდესაც ოფსაიდს მიწევენ, ვიცი, რომ სწორ პოზიციაში ვიყავი, უბრალოდ, თანამსაჯისთვის მეტისმეტად სწრაფად გადავადგილდი და მან ვითარებას ალღო ვეღარ აუღო".

**პაპუნა პედია**



ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
### ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი



# ჟოზე მაურინიუ: ფინალში ჩელსი გავიდა!

**ლივერპული** *(ინგლისი)* 1:0დ.დ. (პენ.4:1, 1:0) **ჩელსი** (ინგლისი) (0:1)
1:0 აგერი (22)
*პენალტები: 1:0 ზენდენი, 1:0 რობენი (მეკარე), 2:0 ხაბი ალონსო, 2:1 ლამპარდი, 3:1 ჯერარდი, 3:1 ჯერემი (მეკარე), 4:1 კუიტი*
ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, რიისე, პენანტი (ხაბი ალონსო 78), ჯერარდი, მასკერანო (ფაულერი 118), ზენდენი, კრაუჩი (ბელამი 106), კუიტი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ჩელსი: ჩეხი, პ. ფერეირა, ესიენი, ტერი, ე. კოული, მიკელი, მაკელელე (ჯერემი 118), ლამპარდი, ჯ. კოული (რობენი 98), დროგბა, ს. კალუ (რაიტ-ფილიპსი 107)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ე. კოული (28), აგერი (62), ზენდენი (110)
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
42 554 მაყურებელი



## რეინამ აბრამოვიჩის ფული მოიგერია

**ჩემპიონთა** ლიგის ფინალისკენ მიმავალ გზაზე „ლივერპული“ „ჩელსის“ სამ წელიწადში მეორედ გადაელობა. ჩუკოტკის გუბერნატორის მილიონები პრემიერლიგაში ჭრის, მაგრამ ევროპაში ჯერჯერობით ვერა. 24 მილიონ გირვანქიანმა დიდიე დროგბამ ორ მატჩში გოლი ვერ გაიტანა, 13 მილიონიან არიენ რობენს პენალტი აულეს, 30 მილიონიანი ანდრეი შევჩენკო ტრავმის გამო ტრიბუნაზე იჯდა, მიხაელ ბალაკმა კი ოპერაცია გაიკეთა...

შევჩენკო და ბალაკი შარშან გადაიყვანეს და სეზონის მთავარ მატჩში ერთიც ვერ დაეხმარა „ჩელსის“.

ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ფინალისტი პენალტების სერიამ გაარკვია, რომლის გმირიც პეპე რეინა გახდა. სხვათა შორის, მამამისიც მეკარე იყო და მადრიდის „ატლეტიკოს“ კარში იდგა ჩემპიონთა თასის წაგებულ ფინალში 1974 წელს.

რეინა-უმცროსი „ლივერპულში“ გადასვლამდე „ვილიარეალში“ თამაშობდა და ბოლო ესპანურ სეზონში 9 პენალტიდან 7 მოიგერია.

მაგრამ მაურინიუ რის მაურინიუა, მწარე რომ არ ეთქვა ნამატჩევს: „ჩვენ ბევრად უკეთ ვითამაშეთ. 90 წუთის განმავლობაშიც და დამატებით დროშიც მხოლოდ „ჩელსი“ ცდილობდა მოგებას. ფინალში გასვლას ჩემი გუნდი იმსახურებდა. „ლივერპული“, „ჩელსისგან“ განსხვავებით, ამ სეზონში მხოლოდ ერთ ტურნირში მონაწილეობს და დასვენებულია. ასეთ მეტოქეს ვაჯობეთ და პენალტებში წავაგეთ. ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით — მათ დიდებულად იშრომეს. მარცხის მიუხედავად, ყველა უნდა გავმაგრდეთ, რადგან ზოგჯერ ფეხბურთი უსამართლოა. დარწმუნებული ვარ, შანსი მომავალ წელსაც გვექნება. ჩვენ ძლიერი ხასიათი გვაქვს. მომდევნო სეზონში შემადგენლობა საგრძნობლად არ შეიცვლება, ალბათ ერთ-ორ ფეხბურთელს გავუშვებთ და ამდენივეს დავიმატებთ. ჩემპიონთა ლიგა მომიგია და ვიცი, მარცხისგან ფეხბურთელები როგორ გამწარდნენ.“

პორტუგალიელმა მწვრთნელმა მატჩამდე „ლივერპული“ პატარა კლუბად მოიხსენია, რამაც „წითლების“ კაპიტანი სტივენ ჯერარდი გააბრაზა: „ჩვენ გაზეთში წავიკითხეთ მისი ნათქვამი და ამან უფრო გაგვაცეცხლა. მართალია, მაურინიუმ პრემიერლიგაში ხარისხი შემოიტანა, მაგრამ ზოგჯერ ისეთ რამეს იტყვის, გაგეცინება. „ლივერპულის“ პატარა კლუბად მონათვლა შეურაცხყოფაა. პატარა კლუბი სამ წელიწადში მეორედ გავიდა ჩემპიონთა ლიგის ფინალში. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო საღამო ჩვენს ცხოვრებაში. ორი წლის წინანდელ ჩემპიონთა ლიგის მოგებას ვერ აჯობებს, მაგრამ „ჩელსის“ დამარცხება, როცა პირველი მატჩი 0:1 გაქვს წაგებული, დიდებული ამბავია. ჩვენ ყველაფერი გავიღეთ და ფინალში გასვლას ვიმსახურებდით. რეინა მსოფლიოში საუკეთესო მეკარეა — ამას მხოლოდ პენალტების მოგერიების გამო არ ვამბობ. „ლივერპულში“ მის გადმოსვლამდე ვიცოდით, რომ ის უმაღლესი კლასის მეკარე იყო და ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა“.

რაფაელ ბენიტესი: „დარწმუნებული ვიყავი, პენალტებში მოვიგებდით, რადგან ბიჭები ყოველი ვარჯიშის შემდეგ თერთმეტმეტრიანების დარტყმაში ვარჯიშობდნენ. თითოეულმა ფეხბურთელმა და გულშემატკივარმა ალალად დაიმსახურა მოგება — „ენფილდზე“ ფანტასტიკური ატმოსფერო იყო. თან როცა ასეთი მეკარე გყავს, გამარჯვების მეტი შანსი გაქვს. ეგებ ეს უფრო შთამბეჭდავი მოგება გახლდათ, ვიდრე ორი წლის წინანდელ ნახევარფინალში. ახლა „ჩელსის“ უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს და მათი დამარცხება ძალიან გაგვიჭირდა“.

საფინალო პენალტის გამტანმა დირკ კუიტმა მაურინიუს ნათქვამს, „ჩელსიმ“ „ლივერპულს“ აჯობაო, ასე უპასუხა: „ეს მისი აზრია, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ პირველიდან ბოლო წუთამდე თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით. ფანტასტიკური საღამო გამოვიდა. ასეთი ზეიმის განცდა მხოლოდ „ენფილდზეა“ შესაძლებელი.“

**ვაჟა ხუციშვილი**




AFP

AFP

# ჩელსის ფანის ტრაგედია
## ვერტმფრენი იპოვეს, ცხედრები ვერა

**იმ** ვერტმფრენის ნამსხვრევები, რომელიც „ჩელსის" მილიონერ გულშემატკივარ ფილიპ კარტერს ეკუთვნოდა, იპოვეს. რამდენადაც ცნობილია, საფრენ აპარატში მისტერ კარტერის გარდა კიდევ სამი ადამიანი იჯდა, თუმცა ჭორები იმის შესახებ, რომ მათ გარდა იქ ლონდონური კლუბის დირექტორატის წევრებიც იყვნენ, არ დადასტურდა.

ვერტმფრენი — „ორძრავიანი ციყვი" — ლივერპულის „ჯონ ლენონის" სახელობის აეროპორტიდან სამშაბათს, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩის („ლივერპული" — „ჩელსი") შემდეგ აფრინდა. მისტერ კარტერსა და მის თანამგზავრებს გეზი კემბრიჯშირში მდებარე ქალაქ პიტერბროსკენ ეჭირათ, მაგრამ დაახლოებით ღამის პირველის ნახევრისთვის ვერტმფრენი დაიკარგა.

ზემოხსენებული ბიზნესმენი ფილიპ კარტერი გახლავთ დამფუძნებელი ფირმისა „კარტერ ენდ კარტერ", რომელიც ავტორიტეტულმა გაზეთმა „ფაინენშლ თაიმზმა" 2006 წლის საუკეთესო ინგლისურ კომპანიად დაასახელა.



ვერტმფრენის ნამტვრევები კემბრიჯშირში, უენსფორდის მახლობლად ტყიან ალაგას გვარიანი ძებნის შემდეგლა იპოვეს.

„მაძებრებმა ნახეს ვერტმფრენი, მისი მგზავრებისა კი არაფერი უწყიან — თქვა გუშინ შუადღისას ქალბატონმა შირლი ველერმა, რომლის ვაჟი, ჯონათანი ასევე ამ ვერტმფრენში იჯდა — კარგს არაფერს ველი".

ამბობენ, რომ პილოტი „კარტერ ენდ კარტერის" თანამფლობელი სტივენ ჰოლდიჩი იყო.

მომხდარმა ყველას გაახსენა 1999 წლის ამბავი, როდესაც ავიაკატასტროფაში „ჩელსის" ვიცე-თავმჯდომარე მეტიუ ჰარდინგი დაიღუპა. ის „ბოლტონ უონდერერზთან" მატჩის შემდეგ ბრუნდებოდა შინ...

**ბაბუნა ძიდია**



AFP

მიხაელ ბალაკი და ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტი

# რა სისულელეა!

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირსა და „ჩელსის" შორის მიხაელ ბალაკის გამო ომი გაჩაღდა.

ბალაკს პარასკევს მიუნხენში ოპერაცია გაუკეთეს და ამბობენ, რომ ჟოზე მაურინიუ გაცოფებულია, რადგან ფეხბურთელს კლუბისგან ნებართვა არ ჰქონდა. გერმანელი „ნიუკასლთან" მატჩში დაშავდა 22 აპრილს და საოპერაციო გახდა, რის გამოც ამ სეზონში ველარ ითამაშებს.

„დეილი ექსპრესის" ცნობით, „ჩელსიმ" უფლება მისცა ბალაკს, სამშობლოში ექიმთან ჩასულიყო, ფეხბურთელი კი კლუბისგან დაუკითხავად ქირურგს დაუწვა.

ივნისში გერმანიას ევრო 2008-ის შესარჩევის ორი შეხვედრა ელის სან მარინოსთან და სლოვაკეთთან და ამ მატჩებისთვის ნახევარმცველი ფორმაში იქნება.

გერმანიის საფეხბურთო კავშირი კი ამტკიცებს, რომ ოპერაცია გადაუდებელი იყო, წინაალმდეგ შემთხვევაში, ბალაკის კარიერა საფრთხის ქვეშ დადგებოდა.

კავშირის პრესმდივანმა ჰაროლდ შტენგერმა განაცხადა: „ჩვენი ნაკრების ექიმმა ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტმა გვაცნობა, რომ სასწრაფო ოპერაცია იყო საჭირო. ბალაკისთვის თამაში ან თუნდაც ვარჯიში იმდენად საზიანო იქნებოდა, რომ ამის თაობაზე „ჩელსის" ექიმებსაც მოურიგდა."

მიხაელ ბალაკს კი გაეცინა ჭორებზე, თითქოს მან „ჩელსი" ფეხებზე დაიკიდა და საივნისო შესარჩევი მატჩების გამო გაიკეთა ოპერაცია.

„რა სისულელეა! — გაოცდა ფეხბურთელი — ყველა იმას ამბობს, თითქოს სანაკრებო მატჩებში თამაში ვარჩიე სეზონის გადამწყვეტ მომენტში „ჩელსის" დახმარებას. როგორ შეიძლება, პროფესიონალ ფეხბურთელს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ან „მანჩესტერთან" ასოციაციის თასის ფინალში თამაში არ სურდეს და ოპერაცია მოიმიზეზოს. ფეხის გაჭრა-გაკერვა ვინმეს სახალისო ხომ არ ჰგონია?!"

ნახევარმცველი ლონდონში ამ კვირის ბოლოს დაბრუნდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მაუ, შე უპრინციპო!
## ფერგიუსონმა ღეჭვას ლაპარაკი არჩია

**ალექს ფერგიუსონმა** თქვა, ჟოზე მაურინიუ უპრინციპო კაციაო და ჩვენც სხვა რა დაგვრჩენია, ამ პრინციპული და მაღალი დონის მწვრთნელთა კონკლაობაზე გავერთოთ.

საქმე მაურინიუსა და „მანჩესტერ იუნაიტედის" პორტუგალიელი ვარსკვლავის კრიშტიანუ რონალდუს ქიშპს ეხება.

მოგეხსენებათ, თავადაც პორტუგალიელმა მაურინიუმ ერთი ხნის წინ დაიჩივლა, მსაჯები „მანჩესტერ იუნაიტედის" კარში პენალტებს აღარ ნიშნავენ, ეს ეტყობა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ახალი წესიაო, რაზეც მანჩესტერელთაგან რონალდუ შეეპასუხა.

პასუხს „ჩელსის" ბოსმა თავისი წილი პასუხი მოაყოლა — მაგ ბიჭს ზრდილობა და განათლება აკლიაო, ამ პასუხის პასუხს კი უკვე ფერგიუსონმა შეაგება თავისებურად:

„ეს უკვე წელსქვემოთ დარტყმაა. ამქვეყნად ულარიბესი წრეებიდან წამოსული, მაგრამ თავისი პრინციპების მქონე ხალხიც არის და განათლებული, მაგრამ სრულიად უპრინციპოც. გარდა ამისა, სიღარიბეში გაზრდა სულაც არ ნიშნავს გაუნათლებლობას. თუ ამ სიტყვებით მაურინიუ ბიჭისთვის თავგზისარევას და მის მწყობრიდან გამოყვანას აპირებს, მინდა ვუთხრა, რომ ტყუილად ირჯება".

**ბაბუნა ძიდია**

# შევამ საზარდული თავად მოიგონა?




**რატომ** არ ითამაშა ანდრეი შევჩენკომ „ლივერპულთან"?

ოფიციალური ვერსიით, უკრაინელ ფორვარდს საზარდულის ტრავმა აქვს და ამიტომ გამოაკლდა გუნდს. „დეილი მეილი" კი საპირისპიროს ამტკიცებს. კვირას, ვარჯიშის შემდეგ, შევჩენკოს გაუგია, რომ „ლივერპულთან" ძირითად შემადგენლობაში არ დააყენებენ და უარი უთქვამს გამგზავრებაზე.

მაურინიუს და უკრაინელი ფეხბურთელის „სიამტკბილობის" ამბავს თუ გავიხსენებთ, გამორიცხული არაა, რომ ფორვარდი ასე მოქცეულიყო. რომან აბრამოვიჩი ხომ შევჩენკოს ყიდვის დღიდან აძალებს მწვრთნელს, ძირითად შემადგენლობაში ათამაშეო. ამის გამო წაეკიდნენ კიდეც პორტუგალიელი თავკაცი და რუსი მილიარდერი.

ანდრეი შევჩენკო „ენფილდზე" თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მისულა და ტრიბუნაზე დაჯდა. მანამდე კი „ჩელსის" ოფიციალური განცხადება გაუშანშალებია: „კვირას ვარჯიშზე შევჩენკო დაშავდა, რის გამოც „ლივერპულთან" ვერ ითამაშებს და ისევე, როგორც სხვა ტრავმირებულები, ლონდონში დარჩება".

შემდეგ ფეხბურთელმაც თქვა კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე: „ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთ მატჩს გამოვაკლდები, გუნდთან ერთად ვერ ვიქნები და ვერ ვუქომაგებ უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში. ლონდონში დავრჩები ტრავმის მოსაშუშებლად და ვეცდები, რომ, რაც შეიძლება, მალე ჩავდგე ფორმაში, რათა „ჩელსის" სეზონის ბოლოს დავეხმარო".

უკრაინელი შაბათს „ბოლტონთან" (2:2) მატჩის შესვენებაზე შეცვალა მწვრთნელმა და ეგებ ამითაც იყო უკმაყოფილო. შარშან 30 მილიონ გირვანქად ნაყიდმა ფორვარდმა 51 შეხვედრაში 14 გოლი შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## უილიამ გალასი

მცველი

დაიბადა 1977 წლის 17 აგვისტოს სურ-საინში

სიმაღლე: 1,81 მეტრი; წონა: 72 კგ

კარიერა: 1995-97 წლები — „კაენი" (34 მატჩი, 0 გოლი), 1997-2001 წლები — „მარსელი" (101 მატჩი, 3 გოლი), 2001-06 წლები — „ჩელსი" (159 მატჩი, 12 გოლი), 2006 წლიდან — „არსენალი" (14 მატჩი, 3 გოლი)

2002 წლიდან თამაშობს საფრანგეთის ნაკრებში (52 მატჩი, 2 გოლი)







## MERCEDES ML63

გამოშვების თარიღი: 2006 წელი

სიგრძე: 4,788 მეტრი

სიგანე: 1,910 მეტრი

სიმაღლე: 1,815 მეტრი

წონა: 2 150 კგ

ცილინდრი: 8

ძრავის კუბატურა: 6,2

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 375 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,8 წამში

ფასი: 70 000 ევრო

# დამნაშავე!



## ოუენის ახალი ფეხები და კარიერა: მაიკლს გარდაცვლილი ადამიანის მყესები ამერიკაში გადაუნერგეს

**იცით,** რას ამბობს მაიკლ ოუენი? მას მერე, რაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მუხლი ვიტკინე და ინგლისის ნაკრებს გამოვაკლდი, დანაშაულის გრძნობა არ მშორდებაო.

ოუენი მოედანზე ახლა ორშაბათს დაბრუნდა, ტრავმიდან 11 თვის შემდეგ. მის ფეხზე დაყენებას ოპერაცია დასჭირდა, მერედა როგორი: მარჯვენა ფეხში გარდაცვლილი ადამიანის, სხვა სიტყვებით, დონორის მყესები ჩაუნერგეს, მაგრამ განცდების გადანერგვა ხომ ჯერ არ არსებობს...

ოუენმა თქვა:

სამოყვარულო კრივის მსოფლიოს კავშირმა რამდენიმეგზის შეცვლილი გადაწყვეტილება ერთხელაც შეცვალა და შემოდგომაზე ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატის ახალ მასპინძლად ამერიკის შეერთებული შტატები გამოაცხადა. შეიცვალა ტურნირის ვადებიც — ჩემპიონატი სექტემბრის ნაცვლად ოქტომბერში გაიმართება. ჯერ სარუსეთოდ, მერე საკორეოდ, შემდეგ კი ისევ სარუსეთოდ მოვარჯიშე საქართველოს ნაკრებს მოსამზადებელი გეგმის შეცვლა ერთხელაც მოუწევს და AIBA-ს გადამკიდე, ვინ იცის, იქნებ არც ეს იყოს ბოლო ვარიანტი. ნაკრების თავკაცი ავთანდილ შოშიაშვილი მსოფლიოს ჩემპიონატამდე შეგირდებს რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე გამოცდის და ოპტიმალურ შემადგენლობას ზედ ტურნირის წინ დაასახელებს, თუმცა წინასწარ შედგენილ მოსამზადებელ გეგმაში ჯერჯერობით რეალური მხოლოდ უახლოეს ჩეხურ შეჯიბრზე გამოსვლაა. საპრალო სამზადისს ქართული გუნდი დღეს გლდანის დარბაზში იწყებს და შოშიაშვილსაც პირველად სწორედ ამ შეკრებაზე ვკითხეთ

— ჩეხეთის საერთაშორისო ტურნირის წინ 12-დღიან შეკრებას გავივლით. გლდანურ ვარჯიშებში ოცამდე მოკრივე ჩაერთვება. მზადებას 15 მაისს დავასრულებთ და იმავე დღეს პრაღაში გავემგზავრებით. ტურნირი კი 16-19 მაისს გაიმართება.

**— სრული შემადგენლობით გამოსვლას გეგმავთ?**

— რვა მოკრივეს წავიყვანთ. უმსუბუქეს წონაზე — 48 კილოგრამზე თავად ორგანიზატორებმა მოგვწერეს, არ ჩამოიყვანოთო. ზუსტად ვერ გეტყვით, რა მიზეზით. 51 კილოგრამში ისედაც გვაკლდება მერაბ თურქაძე, რომელიც სადღეისოდ აშკარად არაა მზად საერთაშორისო დონეზე გამოსასვლელად. 91 კილოგრამიან იაგო კილაძეს შეგნებულად ვასვენებთ. მას მომავალ ტურნირებზე გამოვიყენებთ. დანარჩენ რვა წონაში კი ბულგარეთში საუკეთესოები მიგვყავს.

**— ამ რვა მოკრივის მზადყოფნით კმაყოფილი ხართ?**

— ფორმიდან ამოვარდნილი არც ერთი არ უნდა იყოს. მოგეხსენებათ, ნაკრები სხვადასხვა კუთხის სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული. ბიჭები თავთავიანთ ქალაქებსა თუ რაიონებში ემზადებიან. გორელებს პირადად ვამზადებ და გეტყვით, რომ ყველაფერი კარგადაა. ცხადია, დამხმარე მწვრთნელებსაც ხშირად ვუკავშირდები და მათგანაც ყველა ინფორმაციას ვიღებ.

**— ბარემ პრაღაში წამსვლელებიც დაგვისახელეთ...**

— ნიკოლოზ იზორია, კობა ფხაკაძე, ვასილ ყაზიშვილი, ლევან ღვამიჩავა, კახა ჟვანია, გიორგი ნაკანი, დავით წიკლაური და ბექა ლობჟანიძე.

**— პრაღის შემდეგ რომელ საერთაშორისო ტურნირზე გეგმავთ გამოსვლას?**

— ივნისში მინსკში დიდი ტურნირია. მის დაწყებამდე იქვე ოთხ ნაკრებთან ერთად ერთობლივად ვარჯიშს ვაპირებდით, მაგრამ ჯერ არ ვიცით, რა და როგორ იქნება. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის შეცვლამ გეგმები აგვირია.

**— მსოფლიოს ჩემპიონატის მოსკოვში ჩატარება ბევრი ქართველისთვის უსიამოვნო მომენტი იყო, მოსალოდნელი არაობიექტური მსაჯობის გათვალისწინებით. თქვენი აზრით, ამერიკაში მეტი შანსი გვექნება?**

— მსაჯობაზე ლაპარაკი არ მიყვარს. მით უმეტეს, ასეთ დროს. თუ ვაჟკაცურად ვიბრძოლებთ, ვერავინ და ვერსად ვერ დაგვჩაგრავს. იმედია, ამერიკაშიც ასე იქნება.

**— რუსეთში სრული გუნდით გეგმავდით გამგზავრებას. ახლა ფინანსური შეზღუდვების გამო შემადგენლობა ხომ არ შემცირდება?**

— დარწმუნებული ვარ, ფინანსების გამო არავინ დაიჩაგრება. შემადგენლობაში ყველა ის მოკრივე მოხვდება, ვინც აღნიშნულ მომენტში კარგ ფორმაში იქნება. იმედია, ასეთები მრავლად გვეყოლება. მით უმეტეს, რომ ამ მსოფლიოს ჩემპიონატზე პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიები გათამაშდება.

**— თუ საიდუმლო არაა, რამდენ ლიცენზიას გეგმავთ?**

— ორს. თუმცა იქნებ მეტიც შევძლოთ.

**— მსოფლიოს ჩემპიონატი ლიცენზიების მოპოვების პირველი და უკანასკნელი შანსი იქნება?**

— ულიცენზიოდ დარჩენილებს კიდევ ორი ევროტურნირი დარჩებათ, ოღონდ თუ მსოფლიოზე პეკინის საგზურს მეოთხედფინალები იძლევა, ევროტურნირებზე სამეულში მოხვედრაა აუცილებელი.

**— ბოლოს წლების წინ ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ კონსტანტინე კუპატაძეზეც გკითხავთ. წლევანდელი საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ არც ნაკრების შეკრებებზე გამოჩენილა და არც საერთაშორისო ტურნირებზე გამოსულა...**

— კოტეს უკვე ოთხჯერ ვესაუბრე, მაგრამ მისი გუნდში დაბრუნება ვერაფრით მოვახერხე. ამ შეკრებასაც მის გარეშე გავივლით, შესაბამისად — პრაღის ტურნირსაც. მერე რა იქნება, ვერ გეტყვით. თუ მოარულ ხმებს დავუჯერებთ, შესაძლოა, პროფესიულ კრივში სცადოს ძალა. ეს ინფორმაცია თუ გამართლდა, სამოყვარულო კრივი კოტე კუპატაძის სახით უნიჭიერეს მოკრივეს დაკარგავს. მას ჯერ ბევრი რამის მიღწევა შეუძლია.



ნაკრების თავკაცის შემდეგ თავად **კუპატაძესაც** შევეხმიანეთ:

**— ხმები ჩემი პროფესიონალებში გადასვლის შესახებ ჭორია და მეტი არაფერი.**

**— მაშინ ნაკრებთან ერთად ვარჯიშზე რატომ ამბობ უარს?**

— ამ ეტაპზე მხოლოდ ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. ასე მირჩევნია. თან ხელის მცირე ტრავმაც მაწუხებს.

**— სხვა ქვეყნიდან ხომ არ გაქვს შემოთავაზება?**

— სერიოზული ამ მხრივაც არაფერია.

**— რომ იყოს, დაფიქრდებოდი?**

— ახლა მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობ, ტრავმა ბოლომდე მოვიშუშო და ინდივიდუალური ვარჯიშით ოპტიმალური ფორმა აღვიდგინო.

**— მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ფიქრობ?**

— იქამდე დიდი დროა...

**ოთარ მაღლაკელიძე**





# ფედერაციის გეგმა: ნაკრების ვალდებულება

## საქართველომ ბულგარეთი და პორტუგალია გაინაღდა

**ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე აგვისტოში ელის გადამწყვეტი მატჩები, თუმც კალათბურთის ფედერაციამ თადარიგი აქედანვე დაიჭირა და მოსამზადებელი პერიოდის კალენდარი შეადგინა. გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში" ფედერაციის ხელმძღვანელობა შეიკრიბა და ჟურნალისტებს ნაკრების დღე-დღეზე გაწერილი გეგმა წარუდგინა**

**მაშ ასე,** ნაკრები შეკრებას 2 ივლისს იწყებს, თუმცა თავდაპირველად ვარჯიშს საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე კალათბურთელები შეუდგებიან. ეს იქნება კანდიდატთა ფიზმომზადებისა და სანაკრებო მზადყოფნის შემოწმება, ხოლო 18 ივლისიდან ეროვნულ გუნდს ლეგიონერებიც შეუერთდებიან.

— ამ ეტაპზე რომელ ლეგიონერსაც ველაპარაკეთ და ნაკრების გეგმა გავაცანით, არავის გამოუთქვამს რამე შენიშვნა. ყველა დაგვთანხმდა, რომ 18 ივლისს თბილისში ჩამოვა და ჩვენც იმედი გვაქვს, რომ უწინდელი არ განმეორდება და დათქმულ დროს ნაკრები სრულად შეიკრიბება — თქვა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა *ლაშა ძიძავამ.*

გადაწყდა, რომ საქართველოს ნაკრები ბულგარეთის საერთაშორისო ოთხთა ტურნირში ითამაშებს, რომელიც 23-25 ივლისს გაიმართება. ჩვენები ბულგარეთში 22-ში გაემგზავრებიან და A დივიზიონის გუნდებს — ისრაელს, მაკედონიასა და ბულგარეთს გაეჯიბრებიან.

ბულგარულ ტურნირს რომ მოილევს, ნაკრები საფრანგეთში გადავა და ქალაქ პოში ექვსდღიან შეკრებას გაივლის. მოგეხსენებათ, ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცი გორდონ ჰერბერტი სწორედ ამ ქალაქის გუნდ „პო ორტეზს" თავკაცობს და ჩვენებსაც ეს შეკრება მან გაუჩარხა.

2 აგვისტოს საქართველოს ნაკრები საფრანგეთიდან პორტუგალიაში გაემგზავრება და კუნძულ მადეირაზე ოთხთა ტურნირში გამოცდის ძალას. მონაწილეთა ვინაობა ჯერ საბოლოოდ არ დადგენილა, თუმც სადღეისო ინფორმაციით იქ მასპინძლების გარდა დიდი ბრიტანეთისა და ტუნისის ნაკრებები ითამაშებენ.

ჰერბერტის სამწყსო საკვალიფიკაციო მატჩების წინ ბოლო მოსამზადებელ ეტაპს კვლავ პოში გაივლის, სადაც 7-დან 19 აგვისტომდე დარჩება და სავარაუდოდ 2 ამხანაგურ მატჩს გამართავს ჯერჯერობით უცნობ მეტოქეებთან.

ამასობაში 21 აგვისტოც მოატანს და ჩვენები ლუქსემბურგში უკვე ფიბა-ევროპის ეგიდით გამართავენ საკვალიფიკაციო მატჩს იქაურებთან და თბილისში დაბრუნდებიან.

ასე და ამგვარად, ჰერბერტს მთელი ერთი თვე ექნება, რათა საზღვარგარეთულ შეკრებებზე თავის გემოზე მომართოს ჩვენი ნაკრები, რაც საკმარისი დროა საიმისოდ, რომ ქართველებმა ჯერ ჯგუფიდან გაააღწიონ, მერე კი სხვა ჯგუფიდან გამოსულ ნაკრებთან საპლეიოფო ჯახში A დივიზიონის ნანატრი საგზური მოიპოვონ.

25 აგვისტოს საქართველოს ნაკრები თბილისში ავსტრიას უმასპინძლებს და ეს იქნება პირველი მატჩი რეკონსტრუირებულ სპორტის სასახლეში.

— შესაძლოა, სპორტის სასახლის რეკონსტრუქცია სრულად არ იყოს 25 აგვისტოსთვის დასრულებული, მაგრამ, რაც კალათბურთს სჭირდება, ყველაფერი მზადყოფნაში იქნება და ავსტრიასაც ვუმასპინძლებთ — აღნიშნა ძიძავამ.

27-ში ჰერბერტის სამწყსო ისლანდიაში ითამაშებს, 1 სექტემბერს კი თბილისში ფინეთს უპრინციპულეს მატჩში შეეჯახება. თუ ჩვენები ჯგუფიდან გავლენ, შეკრება თბილისში გაგრძელდება და 11-15 აგვისტოს უკვე გადამწყვეტი საპლეიოფო სერია გველის.

ესაა ჩვენი ნაკრების სამოქმედო გეგმა, ხოლო შემადგენლობაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ფედერაციის მესვეურები დაგვპირდნენ, რომ ჰერბერტს ამჯერად მეტი დრო ექნება და საქართველოში მოთამაშე კალათბურთელებსაც მეტი დაკვირვებით შეარჩევს.

**ირაკლი ბერტაია**

PLAYOFFS 2007

# გოლდენ სტეიტი გაიდირკა

## დასავლეთი

### დალასი 2:3 გოლდენ სტეიტი

**დალასი 118:112 გოლდენ სტეიტი**

დალასი: ნოვიცკი (30 ქულა, 12 მოხსნა), ჰოვარდი (23), ჰარისი (16), სტეკჰაუსი (15), ტერი (11), დიოპი (11)
გოლდენ სტეიტი: დევისი (27 ქულა, 9 პასი), რიჩარდსონი (23), ჯექსონი (16), ბარნსი (16), პიეტრუსი (11 ქულა, 10 მოხსნა)


დირკ ნოვიცკი ბოლო-ბოლო გამოცოცხლდა

**კიდევ** ერთი დრამატული თამაში ამ უცნაურ სერიაში და არა უკანასკნელიც — „დალასმა" უდაძაბულეს ბრძოლაში გამარჯვება ხელებიდან გამოწიწკნა „გოლდენ სტეიტს", 1:3 ჩამორჩენა შეამცირა და პლეი ოფიდან გავარდნას გადაურჩა.

ზოგ ეპიზოდში ეს „დალასისთვის" სერიის საუკეთესო თამაში იყო, ხოლო ზოგში — უარესიც კი. გუნდის ლიდერი და სეზონის უძვირფასესი მოთამაშის პრიზის მისალებად გამზადებული დირკ ნოვიცკი პირველად დაემსგავსა საკუთარ თავს და „გოლდენ სტეიტს" პირველად ჩაუგდო 30 ქულა, მაგრამ მის გაბრწყინებასაც ეპიზოდური ეთქმოდა, რაკი გერმანელ ფორვარდს სტეიტელები ორი და ხშირად სამი კაცითაც „ასხდნენ ხელებზე". კარგად ითამაშა მთელმა გუნდმა — დირკის გარდა, კიდევ ხუთი დალასელი ასცდა 10-ქულიან ნიშნულს, მათ შორის, სენეგალელი ცენტრი დესაგანა დიოპიც კი, რომელიც მეექვსე წელია, ნბა-შია და აგერ პირველად ჩააგდო 11 ქულა.

მაგრამ ისე ნუ იფიქრებთ, თითქოს ოქროშტატელმა „მეომრებმა" იარაღი დაუშვეს და ტეხასელებს თეთრი ბაირაღები გამოუფინეს. პირიქით, ისინი ტრადიციულად ლაღად ბურთაობდნენ იმ გუნდივით, რომელსაც დასაკარგი და დასამალი არაფერი აქვს. „დალასმა" პირველი მეოთხედი 38:28 რომ მოიგო და მეორეში 21 ქულითაც კი დაწინაურდა, სტუმრებს წარბიც არ შეუხრიათ, სასურველ, არეულ თამაშში შეიტყუეს მოწინააღმდეგე და სხვაობამაც თვალსა და ხელს წუა იწყო ლღობა.

„ამ გუნდს მართლა დიდი გული და ერთსულოვნება ჰქონია. არ მგონია, ვინმეს დანებდეს" — ამბობდა ნამატჩევს მოგების მიუხედავადაც გვარიანად შეფიქრიანებული ნოვიცკი.

მართლაც, სტუმრებმა მეორე მეოთხედშივე შემოაბრუნეს ჩარხი, 8 ტყორცნიდან 7 ჩააგდეს (4 სამიანი) და დიდ შესვენებაზე „დალასი" მხოლოდ 7-ქულიანი უპირატესობით გაუშვეს. შემდეგ კი, მესამეში კარგად გამოიყენეს დალასელი სტეკჰაუსის ტექნიკური ჯარიმა და ჯეისონ რიჩარდსონმა სამქულიანით იმ სხვაობისგან სულ აღარაფერი დატოვა — 67:67. ეს იყო და „მეომრებმა" კიდევ უფრო გააძლიერეს დაწოლა და ბოლო მეოთხედში სოლიდურ უპირატესობასაც მიაღწიეს — დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მათმა ლიდერმა ბაირონ დევისმაც დასჭექა სამიანი და 112:103 დააწინაურა „გოლდენ სტეიტი". ეს უკვე დასასრულს ჰგავდა, საშუალო გუნდისგან ძლიერის ჩაგვრის გრძელი ზღაპრის დასასრულს და დალასელთა ყველაზე აქტიურ ქომაგებსაც ხმა ჩაუვარდათ.

და სწორედ აქ იფეთქა მთელი სერიის განმავლობაში ინერტულად მობურთალმა ნოვიცკიმ — მან დარჩენილი სამი წუთი 15:0 მოაგებინა თავის გუნდს და თავად ამ 15-დან პირად ანგარიშზე 12 ჩაიწერა. ნოვიცკი და მისიანები რომ მათ კალათს ბომბავდნენ და გამარჯვებას ხელიდან აცლიდნენ, გოლდენსტეიტელები ამ დროს სულ სხვა პრობლემის გამოსწორებას ცდილობდნენ. მათ უკვე აღარ ჰყავდათ სტივ ჯეკსონი, რომელიც მსაჯებმა ტექნიკურების გამო ხუთ თამაშში უკვე მეორედ გააგდეს (ჯეკსონი მერე ჩიოდა, სახელი გამიტყდა, თორემ ახლა ისეთი არაფერი დამიშავებია, მხოლოდ იმიტომ გამაგდეს, რომ სტივ ჯეკსონი ვარო).

ეს კიდევ არაფერი, საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე „უორიორზმა" მართლა შეუცვლელი კაცი დაკარგა — ბაირონ დევისმა რამდენიმე წამის ინტერვალით მიიღო მე-5 და მე-6 პერსონალურები და იმ მომენტში, როცა ნოვიცკი მისი გუნდის კალათს ბომბავდა და ამასაც იგივე უნდა გაეკეთებინა საპირისპირო კალათში, სტუმართა გამთამაშებელი იძულებით ქცეულიყო მაყურებლად, რომელსაც შორიდან ყვირილის და ნერვიულობის გარდა არაფერის გაკეთება არ შეეძლო.

ამ ყველაფრის შედეგად „გოლდენ სტეიტს" შეტევა მოერღვა და პრაქტიკულად მოგებული თამაში დათმო. „დალასმა" კი მოახერხა და ამ გამარჯვებით კიდევ ერთ თამაშამდე გაიხანგრძლივა სიცოცხლე. შემდეგი შეხვედრა „უორიორზის" მოედანზეა, ოკლენდში და თუ ტეხასელებმა ისიც მოიგეს, მეშვიდე ჯახი შინ მოუწევთ. „დალასი" 1:3 აგებდა და ამ გამარჯვების მიუხედავად, იქნებ ბევრს არ სჯეროდეს, რომ სერიის გადარჩენას შეძლებს, მაგრამ გავიხსენოთ, რომ ეს ის გუნდია, რეგულარულში 17, 13 და 12-მოგებიანი სერიები რომ ჰქონდა და სულ 67 გამარჯვება დააგროვა, რაც მეექვსე შედეგია ნბა-ს ისტორიაში. ასე რომ, ამ გუნდისთვის პლეი ოფში ზედიზედ სამი გამარჯვებაც არ უნდა იყოს მიუწვდომელი ოცნება.

„ეს მართლა გარდამტეხი თამაში იყო, ჩვენ ბევრი ვიწვნიეთ და ვისწავლეთ — ამბობს „დალასის" კიდევ ერთი ლიდერი ჯოშ ჰოვარდი — მაგრამ ვიცით, რომ არ უნდა დავნებდეთ და საკუთარ თავთან გულმართლები დავრჩეთ."


ხოსე კალდერონმა „ტორონტო" იხსნა

## აღმოსავლეთი

### ტორონტო 2:3 ნიუ ჯერსი

**ტორონტო 98:96 ნიუ ჯერსი**

ტორონტო: კალდერონი (25), პარკერი (18), ბარნანი (18), პიტერსონი (17), ბოში (11)
ნიუ ჯერსი: კარტერი (30), ჯეფერსონი (23), კიდი (11 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა)

# ოლე, ტორონ-ტო!

**საინტერესო** ჯახს უმასპინძლა ნბა-ს ერთადერთმა კანადურმა ქალაქმა ტორონტომაც. ადგილობრივმა „რეპტორზმა" ნიუჯერსული „ნეთსი" მიიღო და დიდი შანსი იყო, ამ სერიაშიც ყველაფერი დამთავრებულიყო. ყველა სხვა აღმოსავლურ წყვილში რამდენიმე დღით ადრე გადაწყდა ყველაფერი — „დეტროიტმაც", „ჩიკაგომაც" და „კლივლენდმაც" იდენტური ანგარიშით, 4:0 მოიშორეს მეტოქეები და მხოლოდ ამ სერიაში „გაჭიანურდა" საქმე. „ნიუ ჯერსი" 3:1 იგებდა და კარგი შანსი ჰქონდა, მალევე მოეთავებინა ხელი შედარებით ახალგაზრდა და საპლეიოფოდ გამოუცდელ მოთამაშეებით (მათ შორის ბევრი ევროპელია) დაკომპლექტებული „ტორონტოსთვის", მაგრამ კანადურმა გუნდმა ერთი მაგრად გაიბრძოლა და მეტოქეს მეორე წრის გზა გაუმრუდა.

„ნიუ ჯერსის" ქება პირველ რიგში იმიტომ ეკუთვნის, რომ ლორენს ფრენკის შეგირდები მთელი სერიის განმავლობაში პრაქტიკულად ხელს არ ანძრევინებენ „ტორონტოს" ერთადერთ ნამდვილ ვარსკვლავს, გუნდის ლიდერსა და მთელ აღმოსავლეთში ერთ-ერთ უძლიერეს მეფარე კრის ბოშს. ამ 208-სანტიმეტრიანმა თავდამსხმელმა მორიგი ფიასკო განიცადა, შეხვედრა 11 ქულით და 8 მოხსნით დაასრულა, მაგრამ მის გუნდს მაინც ეყო რესურსი, თამაში გადაერჩინა.

მასპინძლებს პირველივე მეოთხედში ერთი ცუდი ამბავი შეემთხვათ — თამაშის დაწყებიდან ექვს წუთში დაიმტვრა ძირითადი გამთამაშებელი თიჯეი ფორდი, რომელიც ნიუჯერსელებს ყველაზე შესამჩნევ წინააღმდეგობას უწევს. აქ „ტორონტო" იხსნა ფორდის ესპანელმა შემცვლელმა ხოსე კალდერონმა, რომელმაც გუნდის მართვის სადავეები მტკიცედ ხელთიპყრო და 25 ქულით და 8 პასით დაასრულა კარიერის ყველაზე თუ არა, ერთ-ერთი საუკეთესო თამაში.

მშვენივრად გაისარჯა „რეპტორზის" იტალიელი ახალბედა ანდრეა ბარნანიც, რომელიც მწვრთნელმა სემ მიტჩელმა დამწყებ ხუთეულში გაამწესა და ბარნანიმაც 18 ქულით გაამართლა. ამდენივე გააკეთა ევროპამოვლილმა ამერიკელმა ენტონი პარკერმა, მოკლედ, „რეპტორზი" ევროპელებმა იხსნეს.

მაგრამ უქმად არც „ნიუ ჯერსი" იდგა. ყოფილმა ტორონტოელმა ვინს კარტერმა 30 ქულა გააკეთა, „ნეთსის" მეორე ვეტერანმა ჯეისონ კიდმა კი ლამის კიდევ ერთი სამმაგი დუბლი მიითვალა.

„ტორონტოს" ავი ბედი მაინც თან სდევდა, მასპინძლები ბოლო მეოთხედში 17 ქულით იგებდნენ და თითქოს თავი ქუდში და გამარჯვება ჯიბეში ჰქონდათ, მაგრამ აი, საფინალო სირენით ადრე კალდერონმაც რაღაც დაიშავა და „ტორონტო" პრაქტიკულად გამთამაშებლის გარეშე დარჩა. „ნიუ ჯერსიმ" ამით თითქმის ისარგებლა და ბოლო წამებზე სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა — 96:97 კრის ბოშმა ორიდან ერთი საჯარიმოს ჩაგდებით 2 წამით ადრე ანგარიში 98:96 გახადა. ნიუჯერსელებმა ეს დრო კარგად გამოიყენეს, კარტერმა ორი მცველი გაიტყუა და სლოვენიელი ფრთა ბოსტიან ნახბარი სამქულიან ხაზთან სულ მარტო დარჩა. მას მიუვიდა კიდეც ბურთი, თითქოს კარგადაც ესროლა, მაგრამ...

**ქოტე ყორშია**

### რეგულარული ჩემპიონატის დაცვის სიმბოლური ხუთეულები

| პირველი | მეორე |
|---|---|
| რაჯა ბელი (ფინიქსი) | ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი) |
| კობი ბრაიანტი (ლეიკერსი) | კირკ ჰაინრიხი (ჩიკაგო) |
| ბრიუს ბოუენი (სან ანტონიო) | ტაიშონ პრინსი (დეტროიტი) |
| ტიმ დანკანი (სან ანტონიო) | კევინ გარნეტი (მინესოტა) |
| მარკუს კემბი (დენვერი) | ბენ ვოლესი (ჩიკაგო) |

## ხელბურთი

## საქართველოს მე-17 ჩემპიონატი
## კაცები. მეოთხე წრე

2 მაისი

**იმედი 28:27 ქარიშხალა**

იმედი: გონჩაროვი, ვახანია, მაისურაძე (გაიტანა 11 გოლი), ყაველაშვილი (11), ქარდავა (5), თეთრუაშვილი (1), ბერიაშვილი, კერესელიძე, საბანაშვილი, ლომიძე, ბიდოდაშვილი

ქარიშხალა: გიგა ტორონჯაძე (1), ქანთარია, მელქოშვილი, (12), სხიერელი (7), ირაკლი ტორონჯაძე (4), ჩიხლაძე (2), ჯოხარიძე (1), მუმლაძე, ჯორბენაძე, სეთურიძე, ალეკო ამირანაშვილი, ჯობავა, ფერაძე, მანძულაშვილი

მსაჯები: ინა ჭკუასელი, ვახტანგ ბერიაშვილი

დელეგატი: თამაზ ჩხარტიშვილი

# იმედმა იმედი დაიმატა



**სამი მატჩიც** და ეროვნული სახელბურთო ჩემპიონატის ოთხწრიანი ტურნირი დასრულდება. მერე კი „სტუ-თელავი“ და „ხელბურთის კლუბი თბილისი“, აგრეთვე „თბილისის“ ფარმ-გუნდი „იმედი“ და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის ცენტრის „ქარიშხალა“ შესაბამისად, საოქროვერცხლო და საბრინჯაო სერიებში შეებრძოლებიან ერთმანეთს.

გუშინ არმიის სპორტული კლუბის დარბაზში მესამე ადგილის პრეტენდენტთა შეხვედრას ის სატურნირო მნიშვნელობა ჰქონდა, რომ გამარჯვებული ცხრილში კონკურენტზე მაღლა მოკალათდებოდა და შესატყვისად, სამედლო სერიის მეორე, გადამწყვეტი თამაშის თავის მოედანზე ჩატარების უფლებას მიიღებდა.

თავიდანვე დაძაბული და თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. თითქმის მთელი პირველი ტაიმი ბურთი-ბურთში მიდიოდა, ანგარიში შეიდჯერ იყო საყაიმო და მხოლოდ შესვენების წინ მოახერხეს ცენტრელებმა სამქულიანი უპირატესობის მოპოვება — 13:10.

გამორჩეულად აღსანიშნავია „ქარიშხალას“ ლიდერ ზურიკო მელქოშვილის შედეგიანობა, აგრეთვე მეკარე გიგა ტორონჯაძის ბრწყინვალე თამაში, თუმც მათი და აგრეთვე თანაგუნდელების თავდადება მოგებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

მეორე ტაიმის ექვსიოდ წუთში „იმედმა“ უმთავრესად თავისი სნაიპერების, უჩა მაისურაძისა და აკაკი ყაველაშვილის ზუსტი ტყორცნებით, აგრეთვე მეკარე ალექსანდრე გონჩაროვის საუცხო რეაქციის წყალობით ანგარიში გაათანაბრა — 16:16, ათიოდ წუთში კი თავად დაწინაურდა იმავე სხვაობით — 22:19. თუმც მალე კვლავ აღდგა თანაფარდობა — 23:23 და ასე გაგრძელდა საფინალო სასტვენამდე. ბოლო წუთზე უფროსმა ტორონჯაძემ, ირაკლიმ კიდევ ერთხელ გაათანაბრა ანგარიში — 27:27 და თითქოს მატჩიც ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ყაველაშვილის მორიგმა ზუსტმა ტყორცნამ „იმედს“ გამარჯვება და მესამე სატურნირო საფეხური მოუპოვა.

დღეს თელავში, თამაზ ანთაძის სახელობის სპორტთამაშების სკოლის დარბაზში „სტუ-თელავი“ კონკურენტ „თბილისს“ მასპინძლობს ამ შეხვედრასაც იგივე დატვირთვა. ახლავს. ბუნებრივია, ეს საჩემპიონო ჯახისწინა გენერალური რეპეტიციაცაა.

მეტოქეებს ფინალის წინ მნიშვნელოვანი ძალა შეემატათ: ტექნიკოსებს უკრაინის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში, დონეცკის „შახტარ აკადემიაში“ ერთსეზონიანი გამოსვლის შემდეგ მამია კობახიძე დაუბრუნდათ, „თბილისს“ კი — ზამთარში ტრავმირებული მეგოლე ლაშა სამარლანიშვილი.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-თელავი | 14 | 12 | 1 | 1 | +190 | 25 |
| თბილისი | 14 | 12 | 1 | 1 | +165 | 25 |
| იმედი | 16 | 6 | 1 | 9 | -112 | 13 |
| ქარიშხალა | 15 | 5 | 1 | 9 | -17 | 11 |
| სსსსუ-მამული | 15 | 0 | 0 | 15 | -226 | 0 |

## ავტორბოლა

Formula 1

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

# კატალონიური ვაი უილიამსს

**„უილიამსის“** ფინური წარმოშობის გერმანელი პილოტი ნიკო როსბერგი სერიოზულ ავარიაში მოხვდა და ჰოსპიტალში მოთავსებული იქნა.

ბარსელონაში, „კატალუნია მონტმელოს“ ტრასაზე ფორმულა 1-ის გუნდები მორიგ ტესტებსატარებენ და როსბერგი გუშინ სწორედ იქ დაშავდა, როდესაც მეათე მოსახვევში ბოლიდი ვერ დაიმორჩილა და ტრასიდან გაფრინდა.

ავარიის შემდეგ ნიკო ჯერ ავტოდრომის სამედიცინო ცენტრში მოათავსეს, შემდეგ კი სანტ კუგატის ჰოსპიტალში გადაიყვანეს.




ნიკო როსბერგი

ბარსელონური ტესტები ნამდვილ კოშმარად იქცა „უილიამსის“ საჯინიბოსთვის. ორშაბათს ბოლიდი ინგლისური გუნდის იაპონელმა ტესტპილოტმა კაზუკე ნაკაძიმამ დაამტვრია და როსბერგის ავარიის შემდეგ საჯინიბოს ბოსებმა გადაწყვიტეს, ერთი დღით ადრე დაასრულონ კატალონიური სესია და დღეს, დასკვნით ტესტებში „უილიამსები“ მონაწილეობას აღარ მიიღებენ. იმის გათვალისწინებით, რომ სამშაბათს წვიმის გამო მრბოლები ტრასაზე, პრაქტიკულად არ გასულან, გამოდის, რომ „უილიამსი“ ბარსელონაში ტყუილად ჩავიდა.

„ეს ჩვენი კვირა არ იყო. მადლობა ღმერთს, რომ ნიკოს სერიოზული არაფერი მოსვლია — განაცხადა „უილიამსის“ წამყვანმა ინჟინერმა როდ ნელსონმა და დაამატა — „მალაიზიის დიდი პრიზის“ წინ ჩვენ კარგი ტესტები ჩავატარეთ, მაგრამ რბოლაში ვერ ვივარგეთ. იმედია, ამჯერად პირიქით მოხდება.“

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი საპირველფორმულო ჩემპიონატის მორიგი, მეოთხე ეტაპი, „ესპანეთის დიდი პრიზი“ 13 მაისს გათამაშდება

# ბრაუნის ჯერი: ისევ ფერარი




როს ბრაუნს გული ისევ „ფერარისკენ“ მიუწევს

**„ფერარის“** ყოფილმა ტექნიკურმა დირექტორმა და წლების მანძილზე იტალიური გუნდის ერთ-ერთმა ცენტრალურმა ფიგურამ როს ბრაუნმა განაცხადა, რომ, თუ ფორმულა 1-ში დაბრუნებას გადაწყვეტს, პირველ რიგში, თავისი ყოფილი გუნდის, ანუ „ფერარის“ წინადადებას განიხილავს.

„რამდენიმე პიროვნებასთან მქონდა სატელეფონო საუბრები ჩემს შესაძლო დაბრუნებაზე, მაგრამ მე ყველას გასაგებად ვუთხარი, რომ არავისთან არანაირ მოლაპარაკებას არ დავიწყებ მანამდე, ვიდრე ჩემი „საფერარო“ პერსპექტივები არ გაირკვევა“ — ბრძანა ბრაუნმა.

## მძლეოსნობა

# რადკლიფს ოსაკა აეჭვებს

**ავგისტოში**, იაპონურ ოსაკაში გასამართმა მსოფლიოს ჩემპიონატმა, დიდი შანსია, სახელოვანი ინგლისელი მორბენალი დიაცის, მარათონულ დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდსმენის, პოლა რადკლიფის გარეშე ჩაიაროს.

ამის მიზეზი ზურგის ტრავმაა, რომელიც პოლამ იანვარში მძიმე, 27-საათიანი მშობიარობისას მიიღო.

„ძნელი სათქმელია, როდის დავუბრუნდები აქტიურ სპორტს და შევძლებ თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის მიღებას — განაცხადა რადკლიფმა და დაამატა — შესაძლოა, ოსაკურმა ტურნირმა ჩემს გარეშე ჩაიაროს. ამ შემთხვევაში მთელ აქცენტს პეკინის ოლიმპიადაზე გავაკეთებ და აქედანვე დავიწყებ ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას.“





მარტინ ბროდო



რობერტო ლუონგო

# ლიგამ ნომინანტები გამოჰფინა

გუშინ ნჰლ-მა ყოველწლიური ინდივიდუალური პრიზების ნომინატების ვინაობა დაასახელა. გამარჯვებულებთა ვინაობა კი 14 ივნისს გაირკვევა:

„ჰარტ ტროფი" (უძვირფასესი მოთამაშე): სიდნი კროსბი („პიტსბურგი"), მარტინ ბროდო („ნიუ ჯერსი"), რობერტო ლუონგო („ვანკუვერი")

„კალდერ ტროფი" (საუკეთესო ახალგაზრდა): ევგენი მალკინი („პიტსბურგი"), ჯორდან სტაალი („პიტსბურგი"), პოლ შჩასტნი „კოლორადო")

„სელკე ტროფი" დაცვითი პლანის საუკეთესო თავდამსხმელი): სამუელ პალსონი („ანაჰაიმი"), როდ ბრინდამორი („კაროლინა"), ჯეი პანდოლფო („ნიუ ჯერსი")

„ჯეკ ადამს ტროფი" (საუკეთესო მწვრთნელი): ლინდი რაფი („ბუფალო"), მიშელ ტერიენი („პიტსბურგი"), ალან ვინიო („ვანკუვერი")

„ნორის ტროფი" (საუკეთესო მცველი) : ნიკლას ლიდსტრიომი („დეტროიტი"), სკოტ ნიდერმაიერი („ანაჰაიმი"), კრის პრონგერი („ანაჰაიმი")

„ლედი ბინგ ტროფი" (სპორტული უნარებისა და ჯენტლმენური ქცევისთვის): პაველ დაციუკი („დეტროიტი"), მარტინ სენ ლუი („ტამპა"), ჯო საკიკი („კოლორადო")

„ვეზინა ტროფი" (საუკეთესო მეკარე): ბროდო, ლუონგო, ჰენრიკ ლუნდკვისტი („რეინჯერსი"), მიკა კიპრუსოფი („კალგარი")

„ლესტერ პირსონ ევარდი" (საუკეთესო მოთამაშე ჰოკეისტების აზრით): კროსბი, ლუონგო, ვენსან ლეკავალიე („ტამპა")

**დღის გმირად** „ვანკუვერის" კარის დარაჯი რობერტო ლუონგო იქცა, რომელმაც ყველაზე მეტი, სამი ნომინაცია მიიღო და ერთით აჯობა აწ მიწურული რეგულარული ჩემპიონატის კიდევ ორ გმირს, სიდნი კროსბისა და მარტინ ბროდოს.

წლის საუკეთესო ახალბედას ტიტულის მოგების მთავარი კანდიდატი „პიტსბურგის" ერთ-ერთ ლიდერად ქცეული ევგენი მალკინი იქნება. ძნელი წარმოსადგენია, რა უნდა მოხდეს, რუსს ეს პრიზი რომ არ მისცენ — მალკინი აშკარად ყველა სხვა ახალბედას ჯობდა და ყველაზე მეტი ქულაც მოიხვეჭა.

დაცვითი პლანის საუკეთესო თავდასხმელად ალბათ „ანაჰაიმის" შვედ ცენტრ სამუელ პალსონს დაასახელებენ. ამ ვიკინგს წლეულს მართლაც ფანტასტიური სეზონი ჰქონდა — ჩვეული ხისტი თამაშის წყალობით პალსონისა და რობ ნიდერმაირის წყვილი ამ სეზონში მეტოქის თავდასხმელთათვის ნამდვილ კოშმარად იქცა.

რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის ტიტულზე მებრძოლი სამეულიდან კონკრეტული ლიდერის გამოყოფა ძალიან გაჭირდება, რადგანაც სამივე ნომინანტს — ლუონგოს, ბროდოსა და კროსბის — ფანტასტიური სეზონი ჰქონდა და რომელიმეს გამორჩევა ძნელი იქნება. თუმც მთლიანობაში ყველაზე მეტად ეს ტიტული მაინც „პიტსბურგის" ახალგაზრდა ლიდერზე იქნება ალალი — „ატარა სიდმა" ხომ წლეულს უეინ გრეცკის ორი რეკორდი მოხსნა და საუკეთესო ბომბარდირიც გახდა.

გაჭირდება საუკეთესო მწვრთნელის ვინაობის დასახელებაც — მიშელ ტერიენიცა და ალან ვინიოც ამ ტიტულს თანაბრად იმსახურებენ. პირველმა "პიტსბურგის" ახალგაზრდობა წლეულს ერთ გუნდად შეკრა და უკვე აქცია გოროზ ძალად. ვინიომ კი, "ვანკუვერის" საკმაოდ მწირი რესურსებიდან გამომდინარე, გუნდი ლუონგოს გარშემო კარგადააწყო და დივიზიონიც მოიგო.

საუკეთესო მცველად ალბათ ისევ ნიკლას ლიდსტრიომს დაასახელებენ. წლეულს ანაჰაიმური დუეტი დიდებულად კი ირჯებოდა, მაგრამ ლიდსტრიომი ხომ მცველთა შორის მეორე ბომბარდირი გახდა და ლიგაში საუკეთესო იყო სარგებლიონობის მაჩვენებლით. შვედმა ლიდერის თვისებებიც გამოავლინა და თავის „დეტროიტს" მაქსიმალურად შეუმსუბუქა ლეგენდარული კაპიტან სტივ აიზერმანის გუნდიდან წასვლით გამოწვეული სიცარიელე.

საუკთესო მეკარეების დასახელებისას კი უნიკალური რამ მოხდა — რაკი ჰენრიკ ლუნდკვისტმა და მიკა კიპრუსოფმა თანაბარი ხმები დააგროვეს, სამის მაგივრად აქ ოთხი ნომინანტი იქნება, თუმც გამარჯვებული ალბათ მაინც ლუონგო-ბროდოს შორის იმალება.

**ქახა ლომჯარიძე**



სიდნი კროსბი

## პლეი ოფი. მეორე წრე

### აღმოსავლეთი

**ბუფალო 2:2 რეინჯერსი**

მეოთხე მატჩი

რეინჯერსი 2:1 ბუფალო

0:0 1:0 1:1

1:0 იაგრი (21, უმრ. ნიულანდერი, როჟივალი), 2:0 შენაჰენი (49, უმრ. კალენი), 2:1 კოტალიკი (50, კონოლი)

### დასავლეთი

**ანაჰაიმი 3:1 ვანკუვერი**

მეოთხე მატჩი

ვანკუვერი 2:3 ანაჰაიმი

1:0 1:0 0:2 0:1 (ოვერტაიმში)

1:0 ნესლუნდი (13, ელუნდი, ლინდენი), 2:0 მორისონი (38, დ. სედინი, ელუნდი) 2:1 პრონგერი (44, პოლსონი, მეი), 2:2 სეილანე (55, პრონგერი, კუნიცი), 2:3 მოენი (63, პოლსონი, ს. ნიდერმაიერი)




# ვანკუ-ვერა

**მესამე** პერიოდში ორშაიბიანი უპირატესობის განიავებით „ვანკუვერმა" ფაქტობრივად ხაზი გადაუსვა „ანაჰაიმთან" სერიის მოგების შანსებს. კალიფორნიაში ერთი მატჩის ართმევის შემდეგ სახლში დაბრუნებული კანადელები იმედიანად იყვნენ — მშობლიურ კედლებში, პირთამდე გავსებული ტრიბუნების წინ თამაში ყოველთვის ადვილია, მაგრამ „კენექსმა" ეს უპირატესობა ვერ შეირგო და საკუთარ ყინულზე ზედიზედ მეორედ წააგო.

არადა, მასპინძლებისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო. მესამე შეხვედრაში დამარცხების შემდეგ კაპიტანი მარკუს ნესლუნდი გულშემატკივრებს შეჰპირდა, მეტობასა და უმცირესობაში უკეთესად ვითამაშებთო — „ვანკუვერმა" ეს პირობა აასრულა და კალიფორნიელებს მეტობაში არც გაატანინა. მეტიც, საწყის ორ პერიოდში თითო შაიბის შეგდებით „კენექსმა" თითქოს საჭირო უპირატესობა შეიქმნა. მაგრამ „ანაჰაიმმა" გადამწყვეტ ტაიმში თავის თამაში მოახვია მეტოქეს და ჩვეული ჯაჯგურითა და მძლავრი პრესინგით ანგარიში გაათანაბრა კიდეც — რობერტო ლუონგომ ვერაფერი მოუხერხა კრის პრონგერის შორიდან გასროლილსა და ტეემუ სელიანეს სუპერტექნიკურ თამაშს. ოვერტაიმში კი საქმის მალე მოთავების იმედით, „იხვები" თავიდანვე მაგრად მიაწვნენ დაბნეულ მასპინძლებს და გაუმართლათ კიდეც — ტრევის მოენმა დამატებითი პერიოდის მესამე წუთზე კარის წინ ატეხილ ძიძგილაობაში ყველას დაასწრო და შაიბა როგორღაც შეტენა კარებში.

აი, „რეინჯერსი" კი ყველას პროგნოზის საპირისპიროდ, სეზონის ერთ-ერთ უპირობო ლიდერ „ბუფალოს" უშელავათოდ ეჭიდავება და მშობლიურ „მედისონ სქუერ გარდენში" ზედიზედ მეორე გამარჯვებით სერიაში ანგარიშიც გაუთანაბრა. ცხენოსანი პოლიციელებიდან შეტევაში ბებერმა მგლებმა, ბრენდან შენაჰენმა და იარომირ იაგრმა გამოიჩინეს თავი და მაგრამ დაცვაში დიდებული თამაშისა და კიპერ ჰენრიკ ლუნდკვისტის ფანტასტიური „სეივების" წყალობით, მანჰეტენის ბინადრებმა სერიაში ანგარიში გაიყამეს.

**ქახა ლომჯარიძე**

## მსოფლიოს ჩემპიონატი

2007 WORLD CHAMPIONSHIP RUSSIA

მოსკოვი, რუსეთი. 27 აპრილი – 13 მაისი

### B ჯგუფი

**ავსტრია 2:5 ბელარუსი**

1:2 1:2 0:1

0:1 გლებოვი (4), 0:2 დუდიკი (18), 1:2 ლაკოსი (19), 2:2 ლაკოსი (25), 2:3 უგაროვი (28), 2:4 ანტონენკო (34), 2:5 კულაკოვი (55)

**ჩეხეთი 4:3 აშშ**

1:0 1:1 2:2

1:0 ჩასლავა (17), 1:1 სატერი (25), 2:1 ირგლი (35), 3:1 ტენკრატი (48), 3:2 ლაროუზი (54), 3:3 პატრიკსონი (56), 4:3 ბედნარი (59)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 3 | 0 | 0 | 18:6 | 6 |
| აშშ | 2 | 0 | 1 | 14:7 | 4 |
| ბელარუსი | 1 | 0 | 2 | 8:15 | 2 |
| ავსტრია | 0 | 0 | 3 | 5:17 | 0 |

### D ჯგუფი

**ფინეთი 4:5 რუსეთი**

1:2 0:2 3:1

0:1 კულემინი (7), 1:1 რუუტუ (14), 1:2 ზარიპოვი (18), 1:3 გონჩარი (24), 1:4 მოროზოვი (27), 2:4 პენტიკენი (44), 3:4 ლეპტინენი (49), 3:5 სინატლოვი (53), 4:5 ნუმელინი (55)

**დანია 4:3 უკრაინა**

3:2 1:0 0:1

1:0 სტარკოვი (2), 1:1 მატვიიჩუკი (8), 2:1 პანდერი (11), 3:1 სტოლი (14), 3:2 მატვიიჩუკი (14), 4:2 სტოლი (31), 4:3 ზავალნიუკი (53)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 3 | 0 | 0 | 22:6 | 6 |
| ფინეთი | 2 | 0 | 1 | 15:7 | 4 |
| დანია | 1 | 0 | 2 | 7:18 | 2 |
| უკრაინა | 0 | 0 | 3 | 4:17 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა 2006-2007
### ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი



AFP

# მილანმა მანჩესტერ უი-ნაიტედი გააქრო

**მილანი (იტალია) 3:0 მანჩესტერი (ინგლისი) (2:3)**

1:0 კაკა (11), 2:0 ზეედორფი (30), 3:0 ჯილარდინო (78)

მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი, გატუზო (კაფუ 84), პირლო, ზეედორფი, ამბროზინი, კაკა (ფავალი 86), ინძაგი (ჯილარდინო 66)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ოში (საა 77), ბრაუნი, ვიდიჩი, ჰაინცე, ფლეტჩერი, კარიკი, სქოულზი, რონალდუ, გიგზი, რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ამბროზინი, რონალდუ, გატუზო

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

78 500 მაყურებელი

**რით** დავიწყოთ? ამას მართლაც უნდა თავის მობმა, რადგან სათქმელი უამრავია და იმავდროულად... მათთვისაც კი, ვინც წუხელ „სან სიროზე" გამართული შეხვედრის რეპორტაჟი არ ნახა, მარტო ანგარიში ამბობს ყველაფერს.

ხოლო, ვინც წუხელ საათნახევარი ტელეეკრანთან გაატარა, დაგვეთანხმება, რომ მშვენივრად მოთამაშე კახა კალაძის გუნდმა „მანჩესტერ იუნაიტედი" მოედნიდან გააქრო.

სამართლიანობისთვის ამთავითვე ვიტყვით, რომ სერ ალექს ფერგიუსონის შეგირდებს მეორე ტაიმში ჰქონდათ 10-15 წუთიანი პერიოდი, როდესაც ბურთს ფლობდნენ და მილანელთა საჯარიმოსთან ტრიალებდნენ, მაგრამ ამ პერიოდშიც კი (როდესაც ანგარიში 2:0 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ) მათ მიერ შექმნილ რომელიმე განსაკუთრებულად სახიფათო მომენტს ვერ ვიხსენებთ.

და, სხვათა შორის, ამ დროს მოხდა ერთი საინტერესო ამბავიც: ხსენებული უპირატესობა რომ დაინახა ფერგიუსონმა, გარისკა, მცველ ჯონ ოშის მაგივრად მოედანზე თავდამსხმელი ლუის საა გაიყვანა და... ეს დღე მანჩესტერელთათვის ნამდვილად უიღბლო იყო: როგორც კი მცველი მოიკლეს, დაისაჯნენ — კლარენს ზეედორფმა შეცვლაზე შესულ ალბერტო ჯილარდინოს დაცვის გამრღვევი პასი შეაყოლა და მილანელთა ფორვარდმაც ედვინ ვან დერ სართან პირისპირ გასვლით ისარგებლა.

გამოვიდა, რომ თამაშზე თხრობა მესამე გოლით დავიწყეთ, არადა, მანამდე ბევრი საინტერესო მოხდა. საერთოდ, მატჩი იმით დაიწყო, რომ მილანელებმა სტუმრებს შტურმი მოუწყვეს. თავიდან მარჯვენა მხრიდან საჯარიმოში კაკა შეიჭრა და ბურთი კარის პარალელურად გაჭრა, მაგრამ იქ ფილიპო ინძაგიმ და კლარენს ზეედორფმა გასრიალება და ფეხის მიკვრა ვერ შეძლეს. ორიოდ წუთში კვლავ შეტევის მარჯვენა ფრთიდან ჯარიმა დაინიშნა, რომლიდან ჩაწოდებული ბურთიც შუაში ზეედორფს მიუვიდა, მან დაჰკრა, მაგრამ ვან დერ სარმა აუღო.

ამასობაში კი დადგა მე-11 წუთი და ანგარიშიც გაიხსნა: ისევ მარჯვნიდან ანდრეა პირლომ ჩააწოდა საჯარიმოში, ამხტარმა ზეედორფმა თავით შუაში გადააგდო ბურთი, იქ კი კაკამ იხელთა მომენტი და ბურთი მანჩესტერელთა კარში შეგდო.

მე-20-30-ე წუთებზე მილანელებმა ბურთის სრულ კონტროლს მიაღწიეს. თუკი პირველი გოლიდან ამ დრომდე ისინი უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ ბურთს კარგავდნენ კიდეც, ამ პერიოდში, სულ ოდნავი გადაჭარბებით რომ ვთქვათ, მათ ბურთი ხელიდან თუ ფეხიდან არ გაუშვეს.

შედეგი: 30-ე წუთზე მანჩესტერელთა კარში მეორე გოლი გავიდა: დაცვა შეცდა, ჰაინცემ ბურთი ვიდიჩს „შეაჩეჩა", მან კი დაკარგა. ბურთი კვლავ და კვლავ მარჯვნივ პირლომ იგდო, იმდენი ქნა, რომ მარჯვენა ფეხით ჩაწოდების შესაძლებლობა გამონახა და ჩააწოდა კიდეც. მანჩესტერელმა მცველებმა მდგომარეობის განმუხტვა სცადეს, მაგრამ მათი თავით გამოტანილი ზეედორფს მიუვიდა, ჰოლანდიელმა კი ბურთი ფეხზე კარგად გაისწორა და ისე შეაგდო ზუსტად იმ ადგილას, სადაც 19 წუთის წინ კაკამ.

ასე და ამგვარად, ცოტა უსისტემოდ, მაგრამ სამივე გოლის ამბავი მოგახსენეთ. ამრიგად, „მილანი" მეათედ გავიდა ჩემპიონთა თასის ფინალში, სადაც ამჯერზე „ლივერპულს" უნდა შეხვდეს.

გეცნობათ? „მილანი" „ლივერპულის" წინააღმდეგ ხომ ორი წლის წინანდელი ფინალია, რომელსაც თავიდან მილანელები იგებდნენ (3:0), საბოლოოდ კი ლივერპულელებმა მოიგეს. გამოდის, ათენში ვენდეტის წყურვილით შეპრობილი მილანელები უნდა ვიხილოთ!

ისე, მართლა რა საინტერესოა, ორი წლის წინანდელი ფინალი სტამბოლში იყო, ახლანდელი ათენშია — მართლაც რა ახლოსაა ეს ყველაფერი...

**ბაკუნა ბედია**



AFP

კლარენს ზეედორფი ერთ-ერთი საუკეთესო იყო



კახა კალაძის „მილანმა" დარენ ფლეტჩერის „მანჩესტერ იუნაიტედს" შანსი არ მისცა

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მელაკვლიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლეჩაშვილი, ბადრი კვთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge